# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2007 წელი.

№ 146 (5747)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# თბილისის ქუჩები დაასუფთავეს...

## სულში დანალექ ნაგავს ვინ გაიტანს ნეტავ?...



თბილისის 16 საუკეთესო მეეზოვე 1000-1000 ლარით დააჯილდოვეს.

რიყეზე თბილისის მერმა გიგი უგულავამ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს მეეზოვის დღე მიულოცა. უგულავამ საუკეთესო მეეზოვეებს სიგელები და ფულადი ჯილდოები გადასცა.

დასუფთავების სამსახურმა წლის განმავლობაში მონიტორინგი ჩაატარა, რაიონების მიხედვით 2-2 საუკეთესო მეეზოვე გამოვლინდა, მათ შორის ერთი 18 წლის ახალგაზრდაა.

როგორც თბილისის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა, დღეიდან მეეზოვის ხელფასი 50 ლარით გაიზრდება. გარდა ამისა, ოქტომბრისთვის ქალაქში დაგეგმილია 40 ერთეული დასუფთავების ახალი ტექნიკის შემოყვანაც.

უგულავამ მოსახლეობას სისუფთავის დაცვისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ადამიანების შრომა დაუფასებელი დარჩება.

დასუფთავების სამსახურში 2400-მდე თანამშრომელი მუშაობს, რომელთაგან 1700 მეეზოვეა. მათი მინიმალური ხელფასი 270 ლარს შეადგენს.



◉ იყიდება, იყიდება...

## სამართალს „ჰილტონი“ სჯაბნის

იუსტიციის სამინისტროსა და კომპანია „სონის“ მაღაზიის ნაცვლად, რუსთაველის გამზირზე თანამედროვე, უმაღლესი სტანდარტების სასტუმრო განთავსდება, ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა გიორგი არველაძემ განაცხადა.

არველაძის თქმით, აღნიშნულ ტერიტორიაზე მსოფლიოში ცნობილი სასტუმროთა ქსელი „ჰილტონი“ საკუთარ სასტუმროს განათავსებს.

„რუსთაველზე სასტუმროს აშენებით ქვეყანაში დამატებით სამუშაო ადგილები შეიქმნება. ჩვენ ძალიან კარგი გეგმა და მიზანი გვაქვს იმისთვის, რომ რუსთაველზე იუსტიციის სამინისტროს ნაცვლად ძალიან საინტერესო და თანამდროვე სასტუმრო მივიღოთ“, – განაცხადა გიორგი არველაძემ.

რაც შეეხება კომპანია „სონის“, მინისტრმა აღნიშნა რომ, კომპანიას რუსთაველზე, აღნიშნული მაღაზიის ნაცვლად, აქვს ფართი, სადაც მათი მაღაზია განთავსდება. „სონისთან“ დაკავშირებით მოლაპარაკებები დასრულებულია. აღნიშნული ფართი მათ აღარ ეკუთვნით“, – განაცხადა გიორგი არველაძემ.

## სახელმწიფო პენსიების დანიშვნის, გაცემისა და შეწყვეტის პირობები მოქმედი კანონის მიხედვით

9

თქვენ ეს განსაკუთრებით გაინტერესებთ!

# სახელმწიფო

• თხილი ვალუტაა. იგი სულ რამდენიმე ქვეყანაში ხარობს. ამიტომ ძალზე ძვირად ფასობს საერთაშორისო ბაზარზე. ხოლო, საცა დიდი ფულია, იქ დიდი ინტერესებიც ეჯახება ერთმანეთს



◎ თხილის ომი

## ყველა ქარხანა გოროზიასიაო

**ამბობენ რომ, ეს აფეთქება გაფრთხილებაა იმათთვის, ვინც სახელისუფლებო კლანების გვერდის ავლით ცდილობს ამ ბიზნესში ჩაბმას**

**ცნობილია, რომ ჩხოროწყუში თხილის გადამმუშავებელი ახლადაშენებული ქარხანა აფეთქდა და სამართალდამცავებმა იქ ტროტილის კვალი აღმოაჩინეს. თუმცა, იმასაც ამბობენ, გაზის ბალონი აფეთქდაო.**

ქარხანა ვინმე ლელა ჭკადუას ეკუთვნოდა და იქ რამდენიმე ათეული ადამიანი დასაქმდებოდა.

ახლა შევეცადოთ და ფაქტს მიღმა გადავიხედოთ.

თხილი ვალუტაა. იგი სულ რამდენიმე ქვეყანაში ხარობს. ამიტომ ძალზე ძვირად ფასობს საერთაშორისო ბაზარზე. ხოლო, საცა დიდი ფულია, იქ დიდი ინტერესებიც ეჯახება ერთმანეთს.

ალბათ, გახსოვთ, როგორი ფეთიანი ვნებათაღელვა გამოიწვია პარლამენტში აზრმაც კი, პარლამენტარ-ჩინოსნებთან ერთად, მათი ოჯახის წევრებსაც აეკრძალოთ ბიზნესიო. ლამის ჩაქოლეს ამ „მკრეხელობაზე“ ენის დამსველებელი. მყისვე დაკარგა ყოველგვარი აზრი კანონმა სახელმწიფო მოხელეთათვის ბიზნესის წარმოების აკრძალვის შესახებ, რადგან მათგან არავინაა ისეთი ან მშობლები, ან და-ძმა, ნათესავ-მეგობრები არა ჰყავდეს. აზრისთვისაც კი ასე გააფთრებულები რომ დაეძგერნენ შესაჭმელად, უშუალოდ ფულისთვის რაღას იზამენ?! სწორედ ხელისუფლების მომხვეჭელობა, ყველა შემოსავლიანი საქმის მონოპოლიზება და სინდის-ნამუსიანად ყველაფრის გაყიდვა ბადებს ძალზე საფუძვლიან ეჭვს, რომ ჩხოროწყუს თხილის გადამმუშავებელი ქარხანაც არაჯანსაღ ე. წ. ბიზნესინტერესებს შეეწირა.

ძველი რომაული გამოთქმა გვასწავლის, ეძებე ის, ვისაც ეს ხელს აძლევდაო. ამ შემთხვევაში საძებნელიც არავინაა – ციცქნა საქართველოში ყველამ ყველაფერი ვიცით, მაგრამ, მერწმუნეთ, თუ ქარხანა მართლაც ააფეთქეს, ეს საქმეც ამდაგვართა დარად გაუხსნელი დარჩება, ანდა განტევების ვაცს გამონახავენ.

პრესაში იწერებოდა, სამეგრელო-ქვემო სვანეთის გუბერნატორის ზაზა გოროზიას ნების გარეშე აგური აგურზე არ დაიდება და პურიც არ გამოცხვებაო. იმ მხარეში რაც კი რამ სარფიანია სულ მისი და მისი სანათესაოს ხელშიაო. ბევრი ეცადა მისთვის წყლის შეყენებას, მაგრამ ვერა დააკლო რაო. ე. ი. ძალზე მაგარი ზურგი ჰქონია.

სწორედ თხილის მაფიაზე იმსჯელეს პრესკონფერენციაზე კახა კუკავამ და გიორგი ცანავამ როგორც ითქვა, თხილის ბიზნესი ზაზა გოროზიას მიერ არის მონოპოლიზებული. ჰკითხეთ ნებისმიერს სამეგრელოში და გეტყვიან, რომ თხილის ყველა ქარხანა გოროზიასიაო, აცხადებენ დეპუტატები. მათივე თქმით, ჩხოროწყუში თხილის ქარხნის აფეთქება გაფრთხილებაა ყველასათვის, ვინც ამ ბიზნესში სახელისუფლებო კლანების გვერდის ავლით დააპირებს ჩაბმას. კუკავა და ცანავა მიიჩნევენ, რომ შარშან მოსახლეობისაგან თხილის შესაძენად ძალზე დაბალი ფასების დაწესებაც სწორედ ამ მაფიის მოქმედების შედეგი იყო.

კონსერვატორები ხელისუფლებას მოუწოდებენ, დროულად და ობიექტურად გამოიძიონ, ვინ ააფეთქა ზემოხსენებული ქარხანა. თუ ასე არ მოხდა, ისინი საშემოდგომო სესიის გახსნისთანავე გეგმავენ ცხარე დებატებს მაფიური კლანების თაობაზე. ხელისუფლების პასიურობა თხილის ბიზნესში მისი მონაწილეობის ერთგვარი დასტური იქნება. კონსერვატორები თავად აპირებენ თხილის ბიზნესზე მონიტორინგის დაწესებას და მაშინ ამ მაფიაში ჩართულ ხელისუფალთაც გამოავლენენ. მანამდე კი გვარებს არ ასახელებენ.

შემოდგომა შორს აღარაა. თხილიც მოიწევს და ვნახოთ...

**კოტე სარალიძე**

№ 146. ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2007 წელი.

◎ ხელისუფლება და ხალხი

## თუ თავად არ წავლენ ბაზრიდან, ხუთშაბათს ძალით გარეკავენ

**ჩეკები ოფიციალურად მხოლოდ 1700 მოვაჭრეზე გაიცემოდა**

**საქართველოში რომ სინდისის ჩათვლით ყველაფერი იყიდება, უკვე აღარავის აკვირვებს. ჰოდა, სინდისს ზედ „დეზერტირების ბაზარიც“ მიაყოლონ, ვისლა გაუკვირდება. ამის თაობაზე ინფორმაცია 2 კვირის წინათ გავრცელდა.**

ორგანიზაციის პრეზიდენტი გიორგი ლაღიძე აცხადებს, რომ თუ ცენტრალური სუპერმარკეტი გაიყიდა, ისინი სასამართლოში შეიტანენ სარჩელს და იქ დასაქმებული 7 ათასი ადამიანის უფლებების დაცვას შეეცდებიან. აი, რა თქვა მან მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას: „როგორც კი გავრცელდა ცნობა ცენტრალური სუპერმარკეტის გაყიდვის შესახებ, იქ შეიქმნა სპეციალური საპროტესტო კომიტეტი. მისი წევრები დაგვიკავშირდნენ. გაიმართა რამდენიმე აქცია ბაზრის ტერიტორიაზე. ამის შემდეგ ითქვა, რომ „დეზერტირების ბაზარი“ აღარ გაიყიდებოდა. გუშინ კი მოულოდნელად შეცვალეს ბაზრის დირექტორი. დირექციის წარმომადგენლებმა ხალხს მაშინვე გამოუცხადეს, რომ ხუთშაბათამდე უნდა დატოვონ ბაზრის ტერიტორია. სამაგიეროდ არაფერი შეუთავაზებიათ არც ახალი მეპატრონე გამოჩენილა. არის ინფორმაცია, რომ ცენტრალური სუპერმარკეტი საერთოდ დაინგრევა და მის ადგილზე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო აშენდება. ამავე დროს, ხალხს ატყუებენ, ვითომც ბაზრის რემონტის გამო გაჰყავთ იქიდან. ეს სიცრუეა – რემონტის ჩატარება ეტაპობრივადაც შეიძლებოდა, ამისათვის სულ არ იყო საჭირო ბაზრის დაკეტვა. ყველაზე სავალალო კი ის არის, რომ სიმართლეს ვერავისთან გაარკვევ – ცნობები ჭორის დონეზე ვრცელდება“. მისივე თქმით, ბაზრის მოვაჭრეებს მკაცრად უცხადებენ – თუ ხუთშაბათამდე არ დატოვებთ ბაზრის ტერიტორიას, ძალით გაგიყვანთო.



ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ „დეზერტირების ბაზარი“ ომის წლებში ამოქმედდა. აქ ძირითადად ჯარისკაცები ვაჭრობდნენ. სწორედ ამის გამო უწოდა ხალხმა მას „დეზერტირების ბაზარი“. ახლა იქ ათასობით ადამიანია დასაქმებული. მათ უკან კი ოჯახები, ახლობლებია, თუ ბაზარს დაკეტავენ, ყველას შიმშილობა ემუქრება.

31 ივლისს „ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის“ ოფისში სპეციალური პრესკონფერენცია გაიმართა.

„ჩვენი იურისტები მუშაობენ ამ პრობლემაზე. ხუთშაბათს უნდა ჩატარდეს დიდი აქცია ცენტრალურ სუპერმარკეტთან, რომლის ძირითადი მოთხოვნა ასეთი იქნება, მოვიდეს ახალი მეპატრონე და უთხრას ამ 7 ათას კაცს, რისთვის იყიდა ეს ტერიტორია და რას უპირებენ ამათ? სხვაგვარად აქციები პარლამენტთან გადაინაცვლებს და მას ლილოს ბაზრობის მოვაჭრეებიც შეუერთდებიან“... – ამბობს ის.

ისიც აღინიშნა, რომ „დეზერტირების ბაზარში“ ოფიციალურად ჩეკები მხოლოდ 1700 კაცზე გაიცემოდა. ჩნდება კიდევ ერთი კითხვა სად მიდიოდა დარჩენილი თანხა? ბაზრის ახალ მეპატრონის, ვინაობა ხუთშაბათს გახდება ცნობილი, ამჟამად მხოლოდ ის იციან, რომ ქართველია.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

**P. S. დეზერტირების ბაზრის“ მოვაჭრეებმა დახმარებისთვის მერიასაც მიმართეს. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მათ ყურადღებაც არავინ მიაქცია. საინტერესოა, ჩვენს ძვირფას ხელისუფალთ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების მშენებლობას ურჩევნიათ საკუთარი ხალხის ბედსა და მომავალზე ზრუნვას?**

**ხ. ჩ.**

◎ დედაქალაქი

## საბავშვო ბაღებისთვის მილიონზე მეტი ლარი გამოიყოფა

**თბილისში საბავშვო ბაღების რეფორმა განხორციელდება.**

**ამის შესახებ თბილისის მერმა გიგი უგულავამ მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.**

მისი თქმით, რეფორმა საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ისახავს მიზნად. როგორც უგულავა აღნიშნავს, ბაღების 30-მდე შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და რეაბილიტაციას არ ექვემდებარება.

– ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რაც ორ ძირითად პრინციპს ემყარება – შედარებით გავამსხვილოთ ბაღები, მაგრამ შევინარჩუნოთ ტერიტორიული პრინციპი, რათა ბაღები მოსახლეობისთვის ტერიტორიული თვალსაზრისით ხელმისაწვდომი იყოს, – აღნიშნა უგულავამ.

მისივე თქმით, თბილისის 20-მდე ბაღში ერთად არის მოთავსებული საბავშვო ბაღი და დევნილთა საცხოვრებელი.

– მსგავსი ბაღების ბუნებრივი სეპარაცია უნდა მოხდეს. მაგალითად, 20 მათგანიდან ათი ბაღი გააგრძელებს ფუნქციონირებას, 10-ში კი დევნილები გადანაწილდებიან, – განმარტა თბილისის მერმა.

როგორც უგულავამ აღნიშნა, ეს დევნილებისთვისაც უკეთესი იქნება, რადგან იმ შენობებში, სადაც ისინი გადანაწილდებიან, რეაბილიტაცია განხორციელდება. ამისათვის ქალაქის ბიუჯეტიდან, დაახლოებით, მილიონ-მილიონნახევარი ლარი გამოიყოფა, ხოლო ბაღების სარეკონსტრუქციო თანხა ტექნიკური დაანგარიშების შემდეგ დაზუსტდება.

უგულავას განცხადებით, 197-მდე რეგისტრირებული ბაღიდან 146 ბაღი დარჩება, შემცირდება მხოლოდ ფორმალურად არსებული ბაღები.

მისივე ინფორმაციით, ყველაზე ავარიული შენობა-ნაგებობების ნაწილი ძველ თბილისსა და ნაძალადევის რაიონშია. როგორც თბილისის მერი აღნიშნავს, რეფორმის შედეგად გამოთავისუფლდება 10-15 ბაღის შენობა. ისინი კონკურსის წესით იმ პირობით განიკარგება, რომ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულად გააგრძელებენ ფუნქციონირებას.

**ინტერპრესნიუსი**



# თემა

● მართალია, ოპოზიცია უმრავლესობას ვერას აკლებს და, შესაძლოა, თითქოსდა ამით გაამართლო მისი საქციელი, მაგრამ, ვფიქრობ, ასეთი უსუსურობის თავი და თავი მიზეზი თავად ოპოზიციაა, გათითოკაცებული ოპოზიცია, ვინც, ამპარტავნობისა და თავკერძობის გამო, ვერც პარლამენტს შიგნით და ვერც მის მიღმა შეძლო გაერთიანება



◎ ვინ საით მიძვრება?

# მეთიუ ძია წაგვივიდა!..

## ხელისუფლება იმდენს კი მოუფშვნის, რომ „ხელის ბიჭი“ ოპოზიცია ჰყავდეს

**ოჯახი სოფელში მყავს. მადლობა ღმერთს, ქალაქთან ახლოსაა და ყოველ შაბათ-კვირას ვახერხებ ჩასვლას. ბავშვები რომ დამინახავენ, მამიკო, მამიკოო, გამოქანდებიან და ჩამეკონებიან. აბა, ამ ქვეყნად ამას რა შეედრება! მერე, შეხვედრის სიხარულს რომ მოვიყვოლპურებთ, ხან წუწუნს მოჰყვებიან ხოლმე ამხანაგებსა და ერთმანეთზეც. აუცილებლად ბოლომდე ვუსმენ – უნდა ვიცოდე, შვილების ურთიერთობა მეგობრებთან და ერთმანეთთან. ვარიგებ კიდეც. მაგრამ ყოველთვის ვცდილობ, ამათავითვე (6 და 4 წლის გოგონები არიან)ძ მივაჩვიო ურთიერთობების მოგვარებას, რათა დიდობაში მშობლების ხელით სატარებელნი, სხვისი მოიმედენი არ გახდნენ; ბავშვობიდანვე ჩავუნერგო ვითარების აწონ-დაწონვის, სწორი გზის გამონახვისა და, ამის საფუძველზე, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.**

სავარაუდოდ, ჩვენი საპარლამენტო ოპოზიციის ოჯახებში ზემოთქმულს არად დაგიდევდნენ, რადგან ძალზე გაუხანგრძლივდათ ბავშვობა და სხვისი ხელისშემყურეობა. აგერ, ჩამოვიდა ბატონი მეთიუ ბრაიზა თუ არა, მიესივნენ, არიქა, გვიშველე, საარჩევნო კოდექსი ისეა შედგენილი, ჭიპზეც გავსკდეთ, კვლავ უმრავლესობა გაიმარჯვებს და, ბარემ, საარჩევნო ბარიერიც დააწევინეთო.

მართალია, ოპოზიცია უმრავლესობას ვერას აკლებს და, შესაძლოა, თითქოსდა ამით გაამართლო მისი საქციელი, მაგრამ, ვფიქრობ, ასეთი უსუსურობის თავი და თავი მიზეზი თავად ოპოზიციაა, გათითოკაცებული ოპოზიცია, ვინც, ამპარტავნობისა და თავკერძობის გამო, ვერც პარლამენტს შიგნით და ვერც მის მიღმა შეძლო გაერთიანება.

დიახ, ოპოზიციამ უნდა ილაპარაკოს, აკრიტიკოს ხელისუფლება, მაგრამ ნიადაგიც ხომ უნდა შეიმზადოს სწორედ ხელისუფლებაში მისასვლელად?! საამისოდ კი გაერთიანება, ერთიანი ფრონტით შეტევაა აუცილებელი. რაღა თქმა უნდა, ეს ძალზე კარგად უწყის ოპოზიციამ. მაშ, რით ვერ დააყენა საშველი ნაწილობრივ გაერთიანებას მაინც? სახელოების ჩამორიგებაზე აქვთ დიდი ცილობა და იმიტომ. მაგრამ თავ-თავისათვის, ინდივიდუალურად კი ახერხებენ გაძვრომ-გამოძვრომასა და სამომავლოდ კვლავ თბილ-თბილი ადგილების შეგულებას. აგერ, ბატონმა ცაგარეიშვილმა „მშობლიურ“ პარტიას უგანა და, სავარაუდოდ, ირაკლი ოქრუაშვილის „მომავლის პარტიაში“ „დაიბუდებს“. ზოგი მისი კოლეგა მხრებს იჩეჩავს, ამ მგზნებარე ოპოზიციონერს რა ესაქმება იმასთან, ვისი ხელითაც ხელისუფლებამ ძალზე ბევრი ბნელი საქმე აკეთა და წარამარაც წერდა, სულ ცოტა, 250 მილიონი აქვს მოტეხილიო?!

მაგრამ ამ მხრების აჩეჩველთაგანაც უკვე ბევრი ყნოსავს ჰაერს, საიდან მოდის ბარაქისა და ხალხის ხარჯზე არხეინი პარლამენტარობის ამო სურნელიო.

ძალზე მოკლედ, სწორედ ამის გამოა უსუსური ოპოზიცია. მას თავადვე არა სურს გაძლიერება, რადგან გაძლიერება ამბიციების მცირედ დათმობას მაინც ნიშნავს. ამ მცირესაც ვერ ელევიან და რა ქნან?! დიდი ილიას ერთი სტრიქონის – მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა ხანდახან ფეხზე ჰკიდიაო – პერიფრაზით, ჩვენს ოპოზიციას ხალხიცა და ქვეყანაც, როცა პირადულზე მიდგება საქმე, სულაც ფეხზე ჰკიდია. ასე რომ იყოს, მართლაც დიდი ძალის მიუხედავად, უმრავლესობა ასე ვერ იპარპაშებდა. ოპოზიცია გაერთიანდებოდა და არ აპარპაშებდა! ქუდზე კაციც გამოვიდოდა მათს მხარდასაჭერად, მაგრამ, ვიმეორებ, უნდა კი ეს ოპოზიციას? მეთიუ ძიას კალთაში ქვითინი არა სჯობს?

ამ „საყმაწვილო სენით“ შეპყრობილი ოპოზიცია ლოგიკასთანაც მწყრალადაა. ვის და ვისთან უჩივის? ვინ უნდა დაიხმაროს ხელისუფლების გონს მოყვანაში? ის, ვისი ინტერესებიც მთლიანად ამ ხელისუფლებაშია ჩადებული? რატომ მოჭრის აშშ იმ ტოტს, რომელზედაც ზის? ამიტომაც განაცხადა წარბშეუხრელად ბატონმა ბრაიზამ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ (ეს გამოკვეთა. ხომ გასაგებია, რატომაც?ძ დიდებული საარჩევნო კოდექსი მიიღეთ და მას შესაცვლელი არაფერი სჭირს, მთავარია, მისი მოთხოვნები შეასრულოთ. დანარჩენი კი შინაურობაში უნდა მოაგვაროთო.

ხომ უცილობლად იცოდა ოპოზიციამ, რომ მეთიუსთან ჩივილი წყლის ნაყვა იყო? მაშ, რატომღა მოიქცა ასე? მართლაც ვერ ამომძვრალა არტახებიდან, თუ ესეც მონდომების წარმოჩენის ერთი ხერხთაგანი იყო, ამასაც ხომ ვეცადეთო?!

ასეა თუ ისე, მაინც ჩვენი თავში სახლელია ყველაფერი. არჩევნები ისე წარიმართება, როგორც აშშ-სა და ხელისუფლებას ნებავთ. ოპოზიცია ყოველი მხრიდან შეჩურთვას ეცდება. კულისებსმიღმა გარიგებები უკვე იწყება. ხელისუფლება, სავარაუდოდ, ოპოზიციას წვრილ-წვრილად, მაგრამ იმდენს კი მოუფშვნის, რომ მსოფლიოს დასანახად ოპოზიცია მაინც ჰყავდეს. მერე რა, რომ ეს ოპოზიცია „ხელის ბიჭი“ იქნება?

**კონსტანტინე გურგენიძე**

◎ პრეზენტაცია

# „სამართლიანი არჩევნები“ საოლქო საარჩევნო კომისიების ფინანსური დოკუმენტაციით უკმაყოფილოა

**„სამართლიანი არჩევნები“ წლების განმავლობაში საქართველოში მუშაობდა საარჩევნო, საკანონმდებლო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე მოქალაქეთა ინფორმირებისათვის. ხოლო 2007 წლის 1 მარტიდან – 31 ივლისის ჩათვლით, მთელი საქართველოს მასშტაბით (კონფლიქტის ზონების გარდაძ განახორციელა ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო ფინანსების გამჭვირვალეობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი.**

ამ მონიტორინგის შედეგებზე „სამართლიანი არჩევნებისა“ და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISF EDძ „თბილისი-მარიოტში“ პრეზენტაცია გამართა.

პროექტი – „2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიების მიერ გაწეული ხარჯების გამჭვირვალობა“ – ფინანსურად უზრუნველყო შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ კავკასიაში (SDCძ.

ჟურნალისტებს კვლევის შედეგები გააცნეს აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ ჟვანიამ და ამ ორგანიზაციის იურიდიულმა მრჩეველმა კახა სოფრომაძემ.

სახელდობრ, პროექტი ცესკოსა და 75 საოლქო საარჩევნო კომისიაში განხორციელებულა. ზოგადადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, გამოითხოვეს საჯარო ინფორმაცია საარჩევნო ფინანსების ხარჯვის შესახებ. დოკუმენტაცია დაამუშავეს დაქირავებულმა ექსპერტებმა. პროექტის საწყის ეტაპზე „სამართლიან არჩევნებსა“ და ცესკოს თავმჯდომარეს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. „აღსანიშნავია, რომ ცესკო-სთან არანაირი დაბრკოლება არ შეგვხვედრია და არც ერთი დოკუმენტი გასაიდუმლოებული არ ყოფილა სხვა სამთავრობო სტრუქტურისგან განსხვავებით, საიდანაც ინფორმაციის მიღება გვიჭირს“, – ითქვა პრესკონფერენციაზე.

პროექტის ფარგლებში, ძირითადად, შეისწავლეს 2006 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრისა და 2007 წლის იანვრის ფინანსური დეკლარაციების ასლები; საოლქო საარჩევნო კომისიებიდან ცესკო-ში გადაგზავნილი საფინანსო ანგარიშების (ბალანსების) ასლები), ტენდერებისა და ფასთა კოტირების შესახებ მასალები...

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების დასკვნით, საარჩევნო ადმინისტრაციის უმთავრესი პრობლემაა არადამაკმაყოფილებელი კვალიფიკაცია ფინანსურ საკითხებში, განსაკუთრებით, საოლქო საარჩევნო კომისიების დონეზე. გასათვალისწინებელია, რომ 2006 წლის 5 ოქტომბრის თვითმმართველობის არჩევნების პროცედურები, მათ შორის, ფინანსურიც, ცაიტნოტის პირობებში განხორციელდა. თუმცა, უნდა გამოიყოს რამდენიმე ასპექტი – ფინანსური ოპერაციების დროს აღმოჩენილი ხარვეზები არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, კანონმდებლობით დაკისრებული ფინანსური ვალდებულებები და პასუხისმგებლობა სათანადოდ არა აქვთ გაცნობიერებული ქვედა დონის საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს.

პრეზენტაციაზე ითქვა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები ვერ ერკვევიან ფინანსურ საკითხებში და მათთვის აუცილებელია, სპეციალურად შეისწავლონ ფინანსური საკითხები. ასევე კარგი იქნება, თუ კონტროლის პალატის რეგიონალური წარმომადგენლები სრულყოფილად შეაფასებენ საარჩევნო ადმინისტრაციების, განსაკუთრებით, საოლქო დონეზე წარმოებულ ფინანსურ დოკუმენტაციებს.

დაბოლოს, თამარ ჟვანიამ მადლობა გადაუხადა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს, რომელმაც მათ მისცა მონიტორინგის განხორციელების საშუალება, ანუ კონტროლის პალატის საქმე არასამთავრობო ორგანიზაციამ გააკეთა. ჟვანიამ ასევე, მადლობა გადაუხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მესვეურთ ინფორმაციის დაუბრკოლებლად მიწოდებისთვის.



**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ინფორმაცია

## ჩრდილოეთის მხარეს ცვლილება არ არის

**საქართველოსა და რუსეთს შორის რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე გამართული ბოლო მოლაპარაკებების შემდეგ რეალური პროგრესი არ არის. ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სპეციალურ განცხადებაშია აღნიშნული.**

**სამინისტროს ინფორმაციით, ქართული მხარის მოთხოვნა, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მოქმედი ორი არალეგალური საბაჟო-გამშვები პუნქტის, განთიადი-ადლერისა და „როკი-ქვემო ზარამაგის“ ლეგალიზაცია და გამართული ფუნქციონირება, კვლავ უცვლელია.**

**– დეტალურად აღწერილი და დასაბუთებული მოთხოვნა რუსეთის მხარეს ოფიციალური დოკუმენტის სახით გადაეცა. საპასუხოდ, რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა გამოაგზავნა წერილი, რომელიც, მიუხედავად საკმაოდ დიდი მოცულობისა, არ პასუხობს საქართველოს მხარის მიერ წამოჭრილ საკითხებს. რუსეთის მხარის მიერ მოყვანილი არც ერთი არგუმენტი არ ეხმაურება არალეგალური ვაჭრობის პრობლემატიკას, – აცხადებენ სამინისტროში.**

ინტერპრესნიუსი

**გაამართლა და სავსებით ეფექტურია შემოსავლების სამსახურის შექმნა. თუ ადრე გადამხდელს სამ უწყებასთან უწევდა ურთიერთობა, ახლა მხოლოდ ერთი უწყებაა მასთან პასუხისმგებელი**



**სტრუქტურა**

***შემოსავლების ახლადშექმნილი სამსახური, შემოსავლების ეფექტური ადმინისტრირების, გადამხდელებისთვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფისა და არალეგალური ბიზნესისგან მათი დაცვის მიზნით ჩამოყალიბდა. საბაჟო სფეროში დაგეგმილი სტრუქტურული ცვლილებების, საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და კორუფციასთან ბრძოლის ეფექტურობის შესახებ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენი" შემოსავლების სამსახურის უფროსს მინდია გადაევს ესაუბრა.***

# მინდია გადაევი: შემოსავლების სამსახურის შექმნამ გაამართლა

**— შემოსავლების სამსახური ჯერ კიდევ ახალი შექმნილი სტრუქტურაა. რამდენად ეფექტური აღმოჩნდა მთელი რიგი სამსახურების გაერთიანება?**

— გაამართლა და სავსებით ეფექტურია შემოსავლების სამსახურის შექმნა. თუ ადრე გადამხდელს სამ უწყებასთან უწევდა ურთიერთობა, ახლა მხოლოდ ერთი უწყებაა მასთან პასუხისმგებელი. ამ სამსახურის შექმნით ერთმანეთთან კოორდინაცია გამარტივდა და ახლა საბაჟო, საგადასახადო და საგამოძიებო დეპარტამენტი ერთობლივად მომართულია საერთო მიზნის მისაღწევად. მიზანი კი ძალიან მარტივია — შემოსავლების ეფექტური ადმინისტრირება, გადამხდელებისთვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფა და არალეგალური ბიზნესისგან მათი დაცვა

**— ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საჭიროა დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებები სამსახურის ეფექტიანობის ზრდისთვის?**

— ახლო მომავალში ვგეგმავთ გარკვეულ საკანონმდებლო ცვლილებებს. ახლახან საგადასახადო კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, კვლავ მზადდება ახალი ცვლილებების პაკეტი. საბაჟო კოდექსიც საჭიროებს გარკვეულ ცვლილებებს. ეს მუდმივი სამუშაო პროცესია. ახლახან განხორციელებული ცვლილებებით მნიშვნელოვნადაა გაადვილებული საბაჟო პროცედურები, კერძოდ, 1 აგვისტოდან აღარ იარსებებს ეგრეთ წოდებული „გადამისამართება", ანუ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების მფლობელი აღარ არის ვალდებული, ცხელ ხაზზე დარეკოს და მარშრუტის ცვლილების თაობაზე საბაჟო ორგანოს აცნობოს. ჯერჯერობით ეს ცვლილება არ ეხება აქციზური საქონლის გადაადგილებას. გავაუქმეთ აქციზური საქონლის ბარათი.

მიმდინარე წლის იანვრიდან აღარ ფუქციონირებს საბაჟო ბროკერების ინსტიტუტი, რომელთა ლიცენზირების გაუქმების გამო საბაჟოს ერთიან ქსელთან „ASYCUDA"-სთან დაშვება დარჩათ იმ კომპანიებს, რომლებიც ადრე რეგისტრირებულნი იყვნენ, როგორც საბაჟო ბროკერები. 1 აგვისტოდან მოქმედებას იწყებს სპეციალური განაცხადის ფორმები, რომელთა შევსების შემდეგ საბაჟო ოპერაციებით მოსარგებლე კომპანიებს უფლება ექნებათ „ASYCUDAS" ქსელით თავად შეავსონ საბაჟო-სატვირთო დეკლარაციები.

ამ ეტაპზე მტკივნეულ თემასთან — ფასების კორექტირებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ — 1 აგვისტოდან მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში რეგისტრირებული კომპანიების მიმართ, საბაჟო ოპერაციების დროს, აღარ განხორციელდება ფასების კორექტირება. სხვა კომპანიებს, რომლებიც არ ეთანხმებიან კორექტირებას, საშუალება აქვთ გაასაჩივრონ საბაჟოს გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურის დავების საბჭოში.

თანამედროვე ტექნოლოგიების და ადმინისტრირების მხრივ განვითარების იმ ეტაპს მივაღწიეთ, როცა შევძელით გავაკონტროლოთ ქვეყანაში კონტრაფაქციული საქონლის შემოტანა. კერძოდ, თუ „საქპატენტში" დარეგისტრირებული ბრენდის შესახებ ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტები რეგისტრაციას გაივლიან შემოსავლების სამსახურში, საბაჟო ორგანოები არ დაუშვებენ ქვეყნის ტერიტორიაზე კონტრაფაქციული საქონლის შემოტანას

**— როგორ შეაფასებთ საბაჟო სფეროში მიმდინარე რეფორმას?**

— საკმაოდ საინტერესო სისტემური ცვლილებები იგეგმება საბაჟო სფეროში. უმთავრესი სიახლეა რისკზე დაფუძნებული, ავტომატიზებული სისტემების გამოყენებით საბაჟო გაფორმების პროცედურების გამარტივება. ამ სიახლეს ახალი პროგრამული უზრუნველყოფა ესაჭიროება და უკვე დასასრულს უახლოვდება თანამედროვე ინტეგრირებული სისტემის „ასიკუდა ვორლდის" დანერგვა.

ამასთან ვამზადებთ საბაჟო გაფორმების პროცედურების გამარტივების სქემებს, ტვირთის დეკლარირების სისტემატიზებულ წესებს, ფასების კორექტირების წესებს, შემოღებული იქნება ელექტრონული დეკლარირება.

რაც მთავარია, უმჯობესდება საბაჟო ინფრასტრუქტურა — ეს კი მნიშვნელოვანია ბიზნესის პროცესების წარმართვისთვის. მალე დასრულდება ყაზბეგის, სადახლოსა და ლაგოდეხის საბაჟო გამშვები პუნქტების მშენებლობა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა.

**— საბაჟო რეფორმის შემდეგი საფეხურია „ოქროს სია". რეალურად რას ითვალისწინებს აღნიშნული სია და რა კრიტერიუმებით მოხვდებიან კომპანიები ამ სიაში?**

— ამ კრიტერიუმების დასადგენად აქტიურად ვთანამშრომლობთ ბიზნესწრეებთან, ცხადია, ჩვენ საკუთარი მოსაზრება და პრინციპები გვაქვს ჩამოყალიბებული. ტექნიკური დეტალებისა და პროცედურების გაწერის მიზნით ტექნიკური ჯგუფია შექმნილი. ახლახან გამოვიტანეთ ბიზნესწრეებისთვის განსასჯელად პროგრამის პრინციპები და პროგრამაში მონაწილე კომპანიების შერჩევის მეთოდოლოგია. პირველი ასეთი შეხვედრა 23 ივლისს „ქორთიარდ მარიოტში" იუ-ეს-აიდის ბიზნესკლიმატის რეფორმის პროექტის ხელშეწყობით უკვე გაიმართა. რა თქმა უნდა, მოიწონეს იდეა.

კრიტერიუმები მარტივია: უნდა იყვნენ დღგ-ს გამხდელები, დეკლარირებული საქონლის ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 10 მლნ ლარი და ან იმპორტის გადასახდელების რაოდენობა არანაკლებ 3 მლნ ლარისა, იმპორტის რეჟიმის გამოყენებით უნდა გაარჩნდეთ არანაკლებ 100 საბაჟო დეკლარაცია. ცხადია, არ უნდა ჰქონდეთ საბაჟო და საგადასახადო მძიმე სამართალდარღვევა, და, რა თქმა უნდა, საბაჟო და საგადასახადო კუთხით „ცუდი" დავალიანებაც არ უნდა გააჩნდეთ.

კრიტერიუმები გადახედვას ექვემდებარება, თუმცა რაზეც მკაცრად ვართ ჩამოყალიბებული და აზრი არ შეგვეცვლება, ეს ორი მოთხოვნაა: პირველი — პროგრამაში მონაწილე კომპანიამ უნდა წარმოადგინოს საერთაშორისო სტანდარტების აუდიტორული დასკვნა და მეორე — მისი საქმიანობა საბაჟო ორგანოებისთვის სულ მცირე 2 წლის მანძილზე მაინც უნდა იყოს ცნობილი.

სავარაუდოდ, თუ დღეს საშუალოდ 75 საათია ტვირთის საზღვრის გადმოკვეთიდან მის განბაჟებამდე, „ოქროს სიის" წევრი ტვირთის განბაჟებას 5 საათში შეძლებს. იმპორტიორი, ტვირთის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში გამოცხადებამდე რამდენიმე საათით ადრე ელექტრონულად წარმოადგენს დეკლარაციას და ტვირთის საზღვარზე მიტანისთანავე სრულდება ყველა საბაჟო პროცედურა. ამის შემდეგ იმპორტიორს შეუძლია თავისუფლად განკარგოს თავისი ტვირთი.

**— შემოსავლების სამსახურებმა ბიზნესგაერთიანებებს მუშა ჯგუფში გაერთიანება შესთავაზეს, რა არის ახალი მუშა ჯგუფის არსი?**

— ბიზნესგაერთიანებებთან თანამშრომლობის გარეშე წარმოუდგენელია წარმატებული რეფორმის განხორციელება. ვცდილობთ, ამ პროცესებში მათ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მაქსიმალურად ვცდილობთ საბაჟო პროცესში ადამიანური ფაქტორის გამოთიშვას. გარდა ამისა, რისკის ანალიზზე დაფუძნებული საბაჟო პროცედურების დამუშავება დავიწყეთ.

**— ბოლო დროს განვითარებული მოვლენების მიუხედავად, შეგიძლიათ თქვათ თუ არა, რომ საბაჟო-გამშვებ პუნქტებზე კორუფცია მინიმუმამდეა შემცირებული?**

— დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ინსტიტუციური კორუფცია საერთოდ აღმოფხვრილია. ძალიან მცირე დოზებით რჩება ინდივიდუალურ რისკზე დაფუძნებული კორუფცია და ამას საკუთარი ძალებითაც ვებრძვით. ასეთი კორუფციის გამოვლენის თვალსაჩინო მაგალითია ბათუმში, ადლიაში, საბაჟო საწყობში, ახლახან საბაჟო გაფორმების ჯგუფისა და სასაზღვრო-გამშვები პუნქტის სადახლოს მებაჟეების დაკავება.

იმედი მაქვს, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც აქტიურად სარგებლობს საბაჟო მომსახურებით, ამოგვიდგება მხარში ინდივიდუალური კორუფციის გამოვლენასა და აღკვეთაში.

მათ მივმართავ თხოვნით, თითოეული ასეთი ფაქტის აღმოჩენისას დარეკოს ჩვენს ცხელ ხაზზე 8 800 111. ამ ნომერზე დარეკვა უფასოა და გარწმუნებთ, კონფიდენციალობაც დაცულია. შეუძლიათ პირადად მომწერონ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით m.gadaevi@mof.ge

**— ფინანსთა სამინისტროს მხრიდან შეიქმნა სპეციალური კალენდარი, რომლის მიხედვითაც საბაჟო და საგადასახადო სამსახურების შენობების რეკონსტრუქცია და მათი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა განხორციელდება. რამდენს დახარჯავს სახელმწიფო იმისათვის, რომ სისტემა მთლიანად აღიჭურვოს თანამედროვე აპარატურით და რა დრო დასჭირდება მას?**

— მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება ინფრასტრუქტურის შექმნისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტთან ერთად ამ სამუშაოებს გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა და ამერიკის მთავრობა აფინანსებს. ამერიკის მთავრობა დაახლოებით 5 მილიონ დოლარს ხარჯავს თანამედროვე სტანდარტების, ყაზბეგის, სადახლოსა და ლაგოდეხის გამშვები პუნქტების მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის გამართვისთვის.

სახელმწიფო კი დაახლოებით 10 მილიონ ლარამდე აფინანსებს საგადასახადო მომსახურების ცენტრებისა და საბაჟო გამშვები პუნქტების სარფისა და გუგუთის მოდერნიზებისთვის. კალენდარზე ბოლო შენობის გადმოცემა 2008 წლის 31 დეკემბერსაა ჩანიშნული. ახალი საგადასახადო მომსახურების ცენტრები გვექნება საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში და, მათ შორის, სოფელ ქურთაშიც.

**— როგორ მიგაჩნიათ, გადასახადების შემცირება რამდენად შეუწყობს ხელს შემოსავლების ზრდას და ადმინისტრირების პროცესს?**

— რაც ნაკლებია გადასახადი, მით უფრო ადვილია მისი ადმინისტრირება და გაცილებით ნაკლები სიმძიმე აწვება გადამხდელს. შემოსავლების სტატისტიკა კი ცხადყოფს, რომ გადასახადების ლიბერალიზაციით გასულ პერიოდთან შედარებით შემოსავლები საგრძნობლად გაზრდილია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ გადასახადები უნდა იყოს მიზერული. დღეისათვის საქართველოს თავის მეზობლებთან შედარებით, გააჩნია ძალიან კარგად დაბალანსებული განაკვეთები, რომლებიც 2008 წლიდან კიდევ უფრო შემსუბუქდება. გაერთიანდება სოციალური (20%ძ და საშემოსავლო (12%ძ გადასახადი და იქნება ერთიანი განაკვეთი 27,5%-ის ოდენობით, დღეს არსებული მოგების 20%-იანი გადასახადი 15%-მდე შემცირდება.

ესაუბრა
**მაია არაბიძე**

**ინფორმაცია**

## გაზმომარაგების სისტემებს აღადგენენ

**ჩრდილოეთი-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის გარდაბანი-ნავთლუღის 30-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტი წარმატებით ხორციელდება. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან განაცხადეს, რომ მომზადებულია რვა კილომეტრი სიგრძის დერეფანი, შესადუღებლად მომზადებული მილების საერთო სიგრძე 5,7 კილომეტრს შეადგენს. უკვე შედუღებულია 4,5 კილომეტრის სიგრძის მილები. მაგისტრალური გაზსადენის გარდაბანი-ნავთლუღის 30-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის დაკვეთით, აზერბაიჯანული კომპანია „ნეფტეგაზტიკინტი" ახორციელებს. მილსადენის 30-კილომეტრიანი მონაკვეთის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციით გაზგამანაწილებელი სისტემის ძველი სტრუქტურული სქემა აღდგება.**

**პროექტის ფარგლებში, ამჟამად, მოქმედი 700-მილიმეტრიანი გაზსადენის დერეფანში, ადრე მოქმედი 500-მილიმეტრიანი მილის ნაცვლად, 700 მილიმეტრის დიამეტრის ახალი ფოლადის მილსადენი აშენდება.**

## ოსეთში დეზინფორმაციას ავრცელებენ

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ოსების მიერ კონტროლირებად სოფელ ძაგინას მკვიდრი, 27 წლის ფელიქს გაგიევი გუშინ დილით გარდაიცვალა.**

**სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ინფორმაციისა და ბეჭდვის კომიტეტის ინფორმაციით, გაგიევი ცხინვალიდან სოფელ ავნევის გავლით სახლში ბრუნდებოდა, როდესაც ქართული პოლიციის საგუშაგოზე გააჩერეს და სასტიკად სცემეს. გაგიევს ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. იგი ცხინვალის საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.**

**27 წლის ფელიქს გაგიევის ცემის ფაქტს ქართული მხარე კატეგორიულად უარყოფს.**

**ინტერპრესნიუსი**

№ 146. ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2007 წელი.

# ჩვენ

● კარგი კაცისთვის სულის ჰიგიენა არსებობის მთავარი პიროვნებაა. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ მისმა სულმა განუწყვეტლივ უნდა იშრომოს და გამოიმუშაოს ადამიანებთან ურთიერთობის გაუმჯობესებული ფორმები



◎ აზრი

*საოცნებო და მისაბაძი შეიძლება იყოს გამოჩენილი ადამიანის ფიზიკური ძალა, სიმდიდრე, გმირობა, შრომისმოყვარეობა, ინტელექტი, ხელოვნების ნიჭი, პოლიტიკური გამჭრიახობა, გარეგნული მიმზიდველობა და მრავალი სხვა. ამ ცალკეულ მიდრეკილებებთან ერთად არსებობს სავსებით განსაკუთრებული რამ. არიან ადამიანები, რომელთაც სურთ იყვნენ, არც მეტი, არც ნაკლები – კარგი კაცი.*

*ცნებას „კარგი კაცი“ (და „კარგი დედაკაცი“ძ რაღაც ძალიან ნაცნობი, ახლო და, ამავდროულად, დაუზუსტებელი მნიშვნელობა აქვს, როგორც საკუთარ თავზე, ასევე სხვებზე მსჯელობისას. ჯერ ერთი, კარგი, ჩვეულებრივი და ცუდი კაცის ცნებების შინაარსი განსხვავდება მათი პიროვნული თვალთახედვის მიხედვით. განსხვავდება ისინი აგრეთვე ემოციური შეფასების თვალსაზრისითაც, როცა ადამიანი, მაგალითად, შეყვარებული, მოტყუებული, დაჩაგრული ან დაღლილია, ანდა, ლაპარაკია, ვთქვათ, საქმიან ურთიერთობასა თუ გართობაზე, სამართალდარღვევაში თანამონაწილესა თუ თანამოსაგრეზე. თუნდაც, ადამიანის ერთსა და იმავე თვისებებს გულისხმობენ სუფრის წევრები, როცა ზოგადად კარგი კაცის სადღეგრძელოს სვამენ? რას მივბაძოთ? რანაირია კარგი კაცი საერთოდ? აქვს კი „კარგი კაცის“ ცნებას ობიექტური შინაარსი? და თუ აქვს, ჩვენგანს რამდენს მიესადაგება ეს ცნება – 5, 50 თუ 99 პროცენტს? რამდენს უნდა, რომ კარგი კაცი იყოს? იცვლება თუ არა მათი რიცხვი, როცა საზოგადოებრივ წესრიგს საზოგადოებრივი აშლილობა ცვლის და პირიქით? რა არის ეს – სასჯელი, მოვალეობა თუ ჯილდო? არის კარგი კაცის თავისუფლების დონე სხვებთან შედარებით უფრო მაღალი? ან, იქნებ, ის ზნეობრივი იმპერატივების გალიაშია დატყვევებული? შეიძლება საკუთარ თავში ან სხვაში კარგი კაცის თვისებები აღმოაცენო, და განავითარო?*

არ არის საჭირო იყო პროფესიონალი ფსიქოლოგი, სამართალმცოდნე ან სასულიერო პირი, რათა ამ საკითხებზე იმსჯელო. ყველა ადამიანს შეუძლია (ვისაც ეს აინტერესებს) საკუთარ თავს ან ვინმე სხვას ჩაუტაროს კარგ კაცობაზე ტესტირება. მაგრამ, ამისათვის ჯერ საჭიროა განვსაზღვროთ, თუ ვის ვგულისხმობთ.

**ეს არ არის, მაინცდამაინც, გამოჩენილი კაცი. იგი შეიძლება უბრალო ადამიანიც იყოს. არც მსოფლმხედველობის უმთავრესი განსაზღვრებები – ოპტიმიზმი და პესიმიზმი მოგვცემს რამეს. კარგი კაცი ერთიც შეიძლება იყოს და მეორეც. დასანანია, როცა კარგი კაცი ამბობს, რომ ღმერთი არ სწამს, მაგრამ ისიც, ალბათ, უდავოა, რომ კარგი კაცი შეიძლება მორწმუნეც იყოს და ათეისტიც, ისევე როგორც იღბლიანიც და უიღბლოც, ღარიბიცა და მდიდარიც.** რა თქმა უნდა, კარგი კაცი ჭკვიანი კაცია, მაგრამ მაინცდამაინც აუცილებელი არ არის, რომ ის მაღალი ინტელექტით დაჯილდოებული დაიბადოს. შეიძლება პირიქითაც ხდებოდეს – ბუნებრივ ინტელექტუალურ ნიჭს მოკლებული კაცი სწორედ კარგი კაცობის ნიჭმა გააჭკვიანოს, სრულყოს.

არც მისი პოლიტიკური ორიენტაცია გვეუბნება რამეს. პოლიტიკა იდეოლოგიაა, რომელიც რეალობაში უნდა განხორციელდეს. იდეოლოგია კი მრავალნაირი შეიძლება იყოს: პროგრესული და რეგრესული, კონსერვატორული და რადიკალური, მემარჯვენე და მემარცხენე, ინდივიდუალისტური და კომუნალისტური, ჰომოგენური და პლურალისტური, ექსტრემისტული და ლიბერალური, ანარქისტული და იერარქისტული, ნაციონალისტური და კოსმოპოლიტური, ავტოკრატიული და დემოკრატიული, მილიტარისტული და არაძალისმიერი, სეპარატისტული და უნიფიკატირული და მრავალი სხვა მიმართულებების, განშტოებების და კომბინაციების მქონე. და ყველას მათ არსებობის უფლება აქვთ, რადგან გამოხატავენ გარკვეულ რეალურ და არსებით ინტერესებს. კარგი კაცი ნებისმიერი ამ დაპირისპირებული შეხედულებათა მქონე და ქომაგი შეიძლება იყოს.

**კარგი კაცობა არ არის ისეთი ცალკეული თვისება, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანს დამატებით აქვს და კარგ კაცს დანარჩენებისაგან განასხვავებს. ეს ისეთი ჩვეულებრივი ადამიანი უფროა, რომელიც თავისუფალია ბუნებრივი ნიჭის და უნარის დამახშობელი შინაგანი და გარეშე (გენეტიკა და აღზრდა) ფაქტორებისაგან.**

მაგრამ, მოდით, შევეცადოთ დავადგინოთ ობიექტური და საერთო ნიშნები. როგორც ჩანს, მთავარი, რაც უნდა ჰქონდეს კარგ კაცს, ესაა – სულიერი სიმშვიდე. დემონურობა, აფორიაქებულობა, ეგზალტირებულობა, აღელვებულობა, ნევროზით ან ფსიქოზით შეპყრობილობა, შურიანობით, უსინდისობით ან სინდისის ქენჯნით შეწუხებულობა – იმდენად ფიტავს და საკუთარ თავში ახშობს ფსიქიკურ ენერგიას, რომ ის კარგი კაცობისათვის უკვე საკმარისი აღარ არის.

კარგი კაცისთვის სულის ჰიგიენა არსებობის მთავარი პიროვნებაა. ეს იმისთვისაა საჭირო, რომ მისმა სულმა განუწყვეტლივ უნდა იშრომოს და გამოიმუშაოს ადამიანებთან ურთიერთობის გაუმჯობესებული ფორმები. თვითონ ასეთი შრომისმოყვარეობაა კარგი კაცის არსი. ეს მას პირობებს უქმნის, რათა ჩვეულებრივ ან ცუდ კაცთან შედარებით უფრო ვრცლად გაშალოს და გამოიყენოს პიროვნების პოტენციური შესაძლებლობები. ესაა მისი მთავარი სურვილი და დანიშნულება. ყოველივე სხვა – ფული, ცოდნა, ჯანმრთელობა, კარიერა და ა.შ., რაც ვიღაცისთვის შესაძლოა წამყვანი მამოძრავებელი იმპულსი იყოს, მისთვის მხოლოდ მთავარი მიზნის მიღწევის საშუალებებია და არა თვითმიზანი.

# კარგი კაცი

**კარგ კაცს სულის შრომისმოყვარეობა ეხმარება რეალობის უფრო სწორ და ეფექტიან აღქმაში. კარგი კაცი უფრო სრულად ხედავს სხვა ადამიანს და მის პრობლემებს. ხელოვნებაში, მეცნიერებაში, პოლიტიკაში, ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო საქმიანობაში მას უფრო სწორი დასკვნები და პროგნოზები გამოაქვს, რადგან უფრო ნაკლებად უკავშირებს საქმიანობის ამ სფეროებს საკუთარ შინაგან სამყაროს, სურვილებს, მიდრეკილებებს და შიშებს.**

კარგი კაცი უკეთ ანსხვავებს კონკრეტულსა და ინდივიდუალურს აბსტრაქტულისა და სტერეოტიპურისაგან. ამიტომაც შესწევს მას უნარი იცხოვროს რეალურ სამყაროში და არა ცნებების, აბსტრაქციების, პირობითობების, მოლოდინის, რწმენის იმ ხელოვნურ გროვაში, რომელთაც ადამიანთა დიდი ნაწილი რეალობად მიიჩნევს. ალბათ იმიტომაც შეუძლია მას უყვარდეს სამყარო, როგორიც ის არის და, ამავე დროს, ცდილობდეს მის გაუმჯობესებას.

კარგ კაცს უცნობი რამ უფრო იზიდავს, ვიდრე ნაცნობი. მისი ლტოლვა ჭეშმარიტების გასარკვევად სულაც არ არის უსაფრთხოებისა და წესრიგის ავადმყოფური, გადაჭარბებული მოთხოვნილება. როდესაც სიტუაცია უკარნახებს, იგი კარგად გრძნობს თავს მოუწესრიგებულ, ანარქიულ, ქაოტურ და საეჭვო გარემოშიც. რასაც სხვები საშიშროებად აღიქვავენ, ის მისთვის მასტიმულირებელი გამოწვევაა.

**რა თქმა უნდა, კარგი კაცისათვის უცხო არ არის დანაშაულის, სირცხვილის ან დაძაბულობის გრძნობა, მაგალითად, როცა ვერ ასწრებს დათქმულ დროში დანაპირების შესრულებას, თუ ვინმეს ტკივილი მიაყენა, თუ პასიური, გულგრილი და უმოქმედო იყო საჭიროების დროს ან სიჩუმით უღალატა კაცს, თუ სულელური შეცდომა მოუვიდა, თუ მას შური ან ეჭვიანობა დაეუფლა.** მთლიანად კი, პასუხისმგებლობის განსაკუთრებული დონეა მასში დისკომფორტის და დაძაბულობის გამომწვევი მთავარი მიზეზი. ის თავის თავისაგან მოითხოვს, რომ ყველა გადაწყვეტილებაზე მას უნდა შეეძლოს საკუთარ თავს და სხვებს გასცეს მართალი კაცის პასუხი. ბოდიშის მოხდა ან შეცდომის აღიარება ყველას უჭირს, მაგრამ მხოლოდ კარგ კაცს შეუძლია არ გაჯიუტდეს და ისე გააკეთოს ეს, რომ პიროვნული ღირსება არ შეელახოს.

**პასუხისმგებლობის და სამართლიანობის გრძნობას უფრო ფართო საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ, განსხვავებას იმას შორის, თუ რა არის ჩვენი ცხოვრება და როგორი შეიძლება იყოს, საკუთარი ერის ან საზოგადოებრივი მოწყობის ნაკლოვან მხარეებს – იგი მძაფრად აღიქვამს.** ის ხედავს, თუ რა სავალალო შედეგები შეიძლება მოუტანოს თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებას ამჟამად გაბატონებულმა მასობრივმა უპასუხისმგებლობამ. ეს აისახება, მაგალითად, საგანმანათლებლო სისტემის ისეთ მოწყობაში, როდესაც სტუდენტები გამოცდების ფორმალურ ჩაბარებას უფრო სწავლობენ, ვიდრე ეუფლებიან პასუხისმგებლობის, გადაწყვეტილებების მიღების, ლიდერობის, შემოქმედებითობის, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში, შინაგანი სტაბილურობის შენარჩუნების ხელოვნებას. ან, ვთქვათ, ის მასობრივი უპასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენს ამჟამინდელ ბიზნესს ახასიათებს. ამ ფილოსოფიით, წარმატებულია ის ბიზნესმენი, რომელიც მოხერხებულად „გადააგდებს“ სხვას.

**ჩვენს ირგვლივ ბევრი უმსგავსობაა, როგორც მასობრივ ცნობიერებასა და საქმიანობაში, ასევე უმაღლეს სახელისუფლებო წრეებში. მათ დაძლევას ზოგის აზრით, დიდი დრო სჭირდება, ზოგის ექსტრემისტული ჟინის მიხედვით, ეს შეიძლება სწრაფად განხორციელდეს. მაგრამ, ამგვარი მოვლენების შეფასებისასაც კარგი კაცი რეალისტად რჩება, ხედავს რეალობას როგორიც ის არას და არა ისე, როგორც ურჩევნია ხედავდეს.**

მისგან თითქმის ვერ გაიგონებ, რომ ეზიზღება რომელიმე პოლიტიკური მოღვაწე, საჭმელი ან სუნი. მაგრამ, ნამდვილად არ უყვარს, როცა ხედავს ხელოვნურ ნილბებს და პოზებს, ეშმაკობას, თვალთმაქცობას, ფარულ აზრებს. მისთვის საერთოდ არ არის დამახასიათებელი კარგი შთაბეჭდილების შექმნის მიზნით სხვადასხვა ხრიკების და ილეთების გამოყენება.

მიუხედავად ამისა, მას არ უჭირს ამა თუ იმ პირობითობის შესრულება. პირიქით, ძნელად თუ ვნახავთ, რომ კარგი კაცი რაღაც განსაკუთრებულად და უჩვეულოდ იქცეოდეს. ის მთელი თავისი არსით გაურბის ხელოვნურობას, მაგრამ იცის, რომ საზოგადოებაში ცხოვრება გარკვეულ რიტუალურ ქცევას მოითხოვს და აკეთებს ამას კეთილი იუმორით, ღირსებითა და დახვეწილობით. ამასთან, ვერანაირი პირობითობა ვერ აიძულებს მას უარი თქვას იმის გაკეთებაზე, რაც საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნია.

პირობითობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობის გამო, მას ურჩევნია ისეთ წრეში ყოფნა, სადაც უფრო სპონტანურად, ბუნებრივად და თავისუფლად გრძნობს თავს. კარგი კაცი ღვინოსაც ამიტომ სვამს. მისთვის ღვინო მხოლოდ სულიერი და ემოციური დისკომფორტის მოხსნის საშუალება არ არის, როგორც ეს ბევრს სჩვევია, არამედ იგი რეალობის ფარული წახნაგების გამოაშკარავების, ახალი გრძნობების მიღების, სიყვარულის, სიცოცხლის და სიკვდილის საკრალურ კავშირებთან შეხების საშუალებაცაა უპირატესად.

**კარგი კაცის საქციელი ზოგჯერ შეიძლება უზნეოც იყოს. მას, მართლაც, საკუთარი ზნეობრივი გზა აქვს. თუ სიტუაცია ითხოვს, პირობითობას კი არა, კანონსაც კი დაარღვევს, რადგან, როგორც ნათქვამია, შაბათია ადამიანისთვის, და არა ადამიანი შაბათისთვის. ამიტომ, რეალურად, იგი – ყველაზე ზნეობრივია, ვინაიდან მისი ქცევის მოტივაცია დანაკლისიდან, სასურველიდან, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ პიროვნული სრულყოფის მოთხოვნილებიდან. იგი სურვილების დაკმაყოფილების გზას კი არა, განვითარების საკუთარი სტილის ძიების გზას ადგას.**

საზოგადოებაში გავრცელებული არასასიკეთო პირობითობებისა და ზნე-ჩვეულებებისაგან, ამპარტავნობისაგან, დემაგოგიისაგან, მაღალფარდოვანი ენაგატლეკილობისაგან, გაბღენძილი არარაობებისაგან, სიცრუისაგან განდგომის მოთხოვნილება იმდენად ძლიერი აქვს, რომ ზოგჯერ ეს მასში საერთო გაუცხოების გრძნობას ბადებს. რეალობას ვერავინ ვერ ხედავს მთლიანად და შეიძლება, მის მიერ დანახული რეალობის ფრაგმენტი მეტად მწარე ან ულირსი ცდუნებებით სავსე აღმოჩნდეს. ამიტომაა, რომ არცთუ ხშირად, მაგრამ მაინც ვხვდებით გალოთებულ კარგ კაცს, კაცს, რომელიც, წიგნების კითხვის მეტს, პრაქტიკულად სხვას არაფერს აკეთებს, ან ისეთს, რომელსაც ინტერესი შეელახა სააქაო, მიწიერი რეალობისადმი და განვითარების საკუთარ სტილს ტრანსცენდენტურში, რელიგიასა და განდეგილებაში ეძებს.

თავის მხრივ, ეს მაგალითები კი არ უარყოფს, არამედ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ იქნებ კარგი კაცია ერთადერთი ნამდვილი კაცის ტიპი, ამ ცხოვრების „მარილი“, იქნებ მხოლოდ მისი მეშვეობით ხდება ადამიანის ბიოლოგიური (და საკრალური) დანიშნულების განხორციელება. ეს იმითაც დასტურდება, რომ გაცუდკაცებას მას, როგორც წესი, სიმარტოვე ურჩევნია.

**ჩვეულებრივ, კარგი კაცი კონცენტრირებულია მისი პიროვნებისათვის გარეშე პრობლემებზე და არა საკუთარ ეგოზე. ეს ნიშნავს, რომ კარგი კაცის პიროვნების საფუძველს სიკეთე წარმოადგენს. მას გარკვეული ცხოვრებისეული მისია, ამოცანა აკისრია.** ეს შეიძლება საკუთარი ოჯახის წევრების, მეგობრების, თანამშრომლების, ქალაქის ან სოფლის, ერის

იხ. 6 გვ.

◎ ინფორმაცია

## მკვლელებს სასჯელი შეუმსუბუქეს

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულებს ქვემდგომი სასამართლო ინსტანციების მიერ გამოტანილი სასჯელი შეუმცირა.

როგორც უზენაესი სასამართლოდან იტყობინებიან საკასაციო პალატამ სასჯელის სახით გერონტი ალანიას განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის და 6 თვით ვადით (ნაცვლად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთისა), ავთანდილ აფციაურს – თავისუფლების აღკვეთა 6 წლის და 6 თვით ვადით (ნაცვლად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთისა), მიხეილ ბიბილურიძეს – თავისუფლების აღკვეთა 6 წლის და 6 თვით ვადით (ნაცვლად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთისა), ალექსანდრე ლაჭავას – თავისუფლების აღკვეთა 6 წლის და 6 თვით ვადით (ნაცვლად სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთისა).

ამასთან, საკასაციო ინსტანციამ მსჯავრდებულების მიმართ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში, რომლითაც მსჯავრდებულებს თითო წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ მისჯილი.

2007 წლის 27 ივლისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების ადვოკატის დავით ხაჟალიას, დაზარალებულ ლევან ბუხაიძისა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე ირინა ენუქიძის საკასაციო საჩივრები.

ბუხაიძე და ენუქიძე მსჯავრდებულებისთვის სასჯელის დამძიმებას ითხოვდნენ.

## სვანეთში დაშავებული ალპინისტი ქუთაისში იმკურნალებს



ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში გვიან ღამით სვანეთის მთებში დაშავებული ესტონეთის მოქალაქე გადაიყვანეს.

45 წლის ალპინისტი ვიქტორ პალმი, თავდაპირველად, ზედა კიდურის ტრავმებით მესტიის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც პირველადი დახმარება აღმოუჩინეს. ოპერაცია კი ალპინისტს ქუთაისში გუშინ გაუკეთეს.

ესტონელი ექსტრემალები სვანეთის მთებში ერთი კვირა იმყოფებოდნენ. ვიქტორ პალმმა ტრავმა მიიღო და მისი გამოყვანა მესაზღვრეებმა შეძლეს.

ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრის ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში დაშავებული ალპინისტი ათი დღე დაჰყოფს.

ინტერპრესნიუსი

№ 146. ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2007 წელი.

● ოპოზიციის აზრით, ქვეყანაში ექსპორტზე მეტად იმპორტის წილი იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკა სულს ლაფავს



◉ მარტივი მათემატიკა

# ექსპორტიც აღარ გვინდა?!

## სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტებზე საბაჟო გადასახადი აღარ იქნებაო

**წლინახევრის წინაც დიდი აურზაური იყო პარლამენტში, როცა „ნულოვანი“ საბაჟო გადასახადის საკითხს განიხილავდნენ. მის წინააღმდეგ მარტო ოპოზიციის წარმომადგენლები კი არა, ასე განსაჯეთ, პარლამენტის თავმჯდომარეც კი გამოვიდა. შედეგად, დიფერენცირებულ გადასახადებზე შეთანხმდნენ.** დაწესდა „0“-პროცენტიანი, 5 და 12-პროცენტიანი გადასახადები. აღინიშნა, რომ მთავრობა ბოლომდე მიიყვანდა საბაჟო გადასახადების „განულებას“, ანუ დააწესებდა თავისუფალ, ლიბერალურ სავაჭრო ურთიერთობებს.

ყველაზე დიდი აზრთა სხვაობა მაშინაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებმა გამოიწვია. აგრარული დარგის სპეციალისტები, ექსპერტები დაჟინებით მოითხოვდნენ მთავრობისგან ამ მიმართულებით საბაჟო გადასახადების 12-პროცენტამდე მაინც დატოვებას. ასაბუთებდნენ ერთადერთი მოტივით – რომ ადგილობრივი და იმპორტული სოფლის მეურნეობის პროდუქტები სხვადასხვა ბიზნესგარემოში არ აღმოჩენილიყვნენ.

რას ნიშნავს სხვადასხვა ბიზნესგარემო? იმას, რომ შეიზღუდებოდა ადგილობრივი წარმოება, რაც სამუშაო ადგილის შემცირებასაც გამოიწვევდა. ადგილობრივი მეწარმე იმასაც კი ვერ აიღებდა, რაც პროდუქციის შექმნაზე დახარჯა, ხოლო შემოტანილი პროდუქცია, თუმცა უფრო უხარისხო, სიიაფის გამო უფრო ხელმისაწვდომი იქნებოდა ისედაც ჯიბეგაფხეკილი მოსახლეობისათვის.

მაშინ თუ სალმა აზრმა ასე თუ ისე გაიმარჯვა, წლეულს მეეჭვება, რომ ისევ ასე მოხდეს.

მთავრობა კვლავ საბაჟო გადასახადების განულების ინიციატივით გამოდის.

– თბილისის გარდა, მოსახლეობა, ძირითადად, აგრარულ სექტორშია დასაქმებული. მსუბუქი და მძიმე მრეწველობის საწარმოებიდან, ფაქტობრივად, არც ერთი არ მუშაობს, დაგვრჩა მხოლოდ ის საწარმოები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებასა და გადამუშავებაზე მუშაობენ. თუ მათ სათანადო ბიზნესგარემოს არ შევუქმნით, ჩვენი პროდუქცია მყიდველს დაკარგავს, – ასეთია ფრაქცია „მრეწველების“ თავმჯდომარის **ზურაბ ტყემალაძის** აზრი, – ჩვენ ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი, წავახალისოთ ადგილობრივი მეწარმეები, რათა, რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაერთოს აგრარულ სექტორში, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკა ვერ განვითარდება.

ოპოზიციის აზრით, ქვეყანაში ექსპორტზე მეტად იმპორტის წილი იზრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკა სულს ლაფავს. ვერც ერთი ქვეყანა ვერ გახდება ეკონომიკურად ძლიერი, თუ მან ექსპორტი ვერ განავითარა, ამბობენ მისი წარმომადგენლები.

გარდა ამისა, საქმე ეხება დადებით და უარყოფით ბალანსს, იმისათვის, რომ ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებს დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდეთ, მოიფიქრეს და შექმნეს უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია, შეიმუშავეს სხვადასხვა რეკომენდაცია, რითაც ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებს აიძულებენ თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებებისა და „ნულოვანი“ საბაჟო განაკვეთების შემოღებას. მათ დიდძალი პროდუქცია აქვთ, ბევრი ხალხია დასაქმებული და სჭირდებათ გასაღების ბაზარი, მაგრამ „ნულოვანი“ განაკვეთი ნიშნავს იმას, რომ მათი პროდუქცია იაფი ეღირება, ჩვენი კი კონკურენციას ვერ გაუძლებს და წარმოება იძულებული იქნება, მუშაობა შეწყვიტოს.

– ნულოვანი განაკვეთები ქართულ ეკონომიკას ბოლოს მოუღებს, – ასეთია პარლამენტის ოპოზიციური ფრთის განაჩენი.

ახლა ვნახოთ, რას ამბობენ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები:

**საკონდიტრო საამქროს თანამშრომელი:** – არა მგონია, თავისუფალმა ვაჭრობამ შედეგი გამოიღოს, რადგან მიმაჩნია, რომ ჩვენ არაკონკურენტმდგომარეობაში აღმოვჩნდებით. რა თქმა უნდა, უცხოელი მაჯობებს, მისი პროდუქცია იაფი ეღირება, საბაჟოზეც ერთ თეთრსაც არ გადაიხდის, მათ რა ენაღვლებათ, მათი პროდუქცია დღეს კონკურენტუნარიანია და, ამიტომ, ბაზრების მოპოვება მათთვის დღეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**ადგილობრივ წარმოებაში მომუშავე:** – ჩვენთვის ისედაც ყველაფერი პრობლემაა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ძვირია, ასევე საწვავი, შხამქიმიკატები... ამიტომ მიმაჩნია, რომ მთავრობამ სწორედ ჩვენ უნდა შეგვიწყოს ხელი, რათა წარმოება არ ჩაკვდეს. თორემ რა გამოვა, ჩვენი ხელისუფლება სხვა ქვეყნებს ეხმარება ხალხის დასაქმებაში. განა ასე შეიძლება?! ერთი ჩვენც შეგვეკითხონ – გვინდა კი ასეთი „თავისუფალი“ ვაჭრობა?..

ასე რომ, მთავრობა საშემოდგომოდ საბაჟო გადასახადების „განულებას“ დაიწყებს. პარლამენტართა აზრით, ამ საკითხის განხილვა სასექტემბრო სესიიდან დაიწყება. როგორც ყოველთვის, უმრავლესობა თავისას გაიტანს, თუმცა წინააღმდეგობა არცთუ უმნიშვნელო იქნება.

ისე, კაცმა რომ თქვას, ხელისუფლებას ერთი მარტივი მათემატიკური წესი ავიწყდება: ნულის ნულზე ნამრავლი ყოველთვის ნულის ტოლია.

**ნაზი იმნაიშვილი**

◉ აზრი

**(მეხუთე გვერდიდან)**

და, საერთოდ, კაცობრიობის ინტერესების რეალიზაციაში მონაწილეობის მიღება იყოს. მას ჩვეულებრივ აწუხებს ისეთი მარადიული საკითხები, რომლებსაც ჩვენ ფილოსოფიას ან ეთიკას მივაკუთვნებთ ხოლმე. ბევრი ამგვარი „ადგილობრივი მნიშვნელობის ფილოსოფოსი“ შეიძლება ძალზე ვიწრო გარემოში მოქმედებდეს, მაგრამ, მთლიანად, მათ აქტივობას განსაკუთრებული სოციალური და პიროვნებათშორისი მნიშვნელობა აქვს. კარგი კაცი სიბრძნეს და სიმშვიდეს წარმოშობს, რაც ცხოვრებას უადვილებს, როგორც თვითონ მას, ასევე ყველას, ვინც მასთან არის დაკავშირებული.

**მიუხედავად აშკარად ალტრუისტული ბუნებისა, კარგ კაცს გამოხატული თვითკმარობა ახასიათებს. იგი, არათუ ადვილად იტანს მარტოობას, არამედ, შეიძლება ითქვას, მიისწრაფის კიდეც მისკენ. რეალობის სწორი და სუბიექტივისტურად დაუმახინჯებელი ხედვის უნარი მისგან გარკვეულ განყენებას მოითხოვს. ჩვეულებრივი ადამიანები ასეთ პოზიციას ხშირად უსულგულობად ან სნობიზმად და ქედმაღლობად აღიქვამენ.**

კარგი კაცი კარგი მეგობარიც არის, ვინიდან უფრო ობიექტურად და სრულად ხედავს მეგობრის მოთხოვნილებებს. ბევრი მეგობარი არ ჰყავს, რადგან იმაზე მეტს არ გაიჩენს, ვიდრე ყურადღების გაწვდომა შეუძლია. არც „სულში ჩაძრომამდე“ არავის უახლოვდება და არავის მისცემს „სულში ფათურის“ უფლებას. ამას კი ზოგი გულცივობად ან გულჩაკეტილობად მიიჩნევს. სინამდვილეში, ეს, კარგი კაცის ავტონომიურობის უფრო მაღალი დონის გამოვლენას უფრო ნიშნავს. ამის შედეგად მას შეუძლია დამოუკიდებლად და გაბედულად მიიღოს გადაწყვეტილებები, იყოს პასუხისმგებელი თავის მოქმედებებზე და არა მარიონეტი სხვის ხელში.

ნებისყოფის თავისუფლებით ალბათ ყველა ადამიანი ერთნაირადაა დაჯილდოებული, მაგრამ კარგი კაცი უფრო ფართოდ და სრულად იყენებს ამ თავისუფლებას. **ბევრი ადამიანი ეგოისტია, და, ხშირად, სწორედ ამიტომაც ვეღარ ახერხებს (და, ხშირად, არც უნდა) იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი ისეთი სურვილებისაგან, რომელთაც ეგოიზმი შინაგან ბორკილებად აქცევს. ეს ისეთი უპასუხისმგებლობაა, რომელსაც სურვილების მონობას უწოდებენ, რაც საკუთარი ხელით თავისუფლების აღკვეთას ნიშნავს.**

თავისუფლების სურვილს და უმაღლეს ფასეულობად აღქმის უნარს კიდევ ერთი ასპექტი აქვს. ეგოისტი საკუთარ შინაგან ბორკილებს ვერ ხედავს, მიუხედავად იმისა და, ალბათ, იმიტომაც, რომ საკუთარ თავშია ჩაკეტილი. რაც შეეხება გარეშე, საზოგადოებრივ-ინსტიტუციონალურ ბორკილებს და თავისუფლების შემზღუდავ ძალებს, – მათ საერთოდ ცუდად არჩევს. **კარგ კაცს კი, უპირატესად გარეშე ფაქტორებზე ყურადღების გამახვილების უნარის გამო, შეუძლია არსებითად გაზარდოს თავისუფლების არეალი, დაინახოს და სწორი შეფასება მისცეს საჭირო ან მავნე საზოგადოებრივ ინსტიტუტებს – კანონებს, ზნე-ჩვეულებებს თუ ორგანიზაციებს. ჩვენ გვიკვირს, თუ რატომ ვერ ხედავს თხა იმ ბაწარს, რომლითაც ხეს შემოხვევია, რათა უკუღმა დატრიალდეს და თავისუფლების არეალი გაზარდოს.** მაგრამ, ადამიანებსაც მრავალი ჩვენთვის უხილავი ამგვარი ბაწრები გვიჭერს. კარგი კაცი იმიტომაა უფრო თავისუფალი, რომ თავისი განსაკუთრებული ხედვის უნარის გამო, უკეთ ხედავს ამ ბაწრებს.

რა თქმა უნდა, კარგია, როცა მხატვარი, ექიმი, ვაჭარი ან მეცნიერი მაღალი პროფესიონალიცაა და, ამავდროულად, კარგი კაციც. მაგრამ, თუ ეს ორივე თვისება ადამიანში მოცემულია, პირველობა და წამყვანი ძალის ფუნქცია, როგორც წესი, კარგ კაცობას უკავია. ის კი შინაგანად კრძალავს წარმატების მიღწევას კარგი კაცობის ხარჯზე, ვთქვათ, კონკურენტის დაჯაბვნას უღირსი ხერხებით ან მეცნიერული რეგალიების მოპოვებას კომპილაციის ან პლაგიატის მეშვეობით.

**სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად, აღნიშნული თვისებები ერთმანეთში ვერ თანხმდებიან. საზოგადოებაში, სადაც წარმატება ადამიანის შეფასების უმაღლესი კრიტერიუმია, კარგი კაცობა, თითქოსდა, ზედმეტ ფუფუნებად ჩანს.** ადამიანები, ჩვეულებრივ, პატიობენ გამორჩენილ და წარჩინებულ პიროვნებებს, რომლებიც პიროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში კარგით ვერ დაიკვეხნიან, თუ მათ დაგვიტოვეს მუსიკალური შედევრი, ლამაზი არქიტექტორული ნაგებობა, ტექნიკური გამოგონება ან რამე სხვა ფასეულობა. კარგ კაცს კი საზოგადოებაში გაბატონებული წარმატების კულტი არ აწუხებს და სინანულით უყურებს ამ კულტით შეპყრობილ ხალხს. მისთვის ნამდვილი ადამიანური ურთიერთობის ტოლფასი ხომ სხვა არაფერი არ არსებობს. ეს არის ის ერთადერთი ჭეშმარიტი მოსახვეჭელი, რომელიც დაგროვების ღირსია.

ჩვენ შეგვიძლია ვიდავოთ იმაზე, თუ რამდენადაა ერთმანეთის განმსაზღვრელი ან ინდიფერენტული პროფესიონალიზმი და კარგი კაცობა, თუმცა თვითონ პროფესიონალები ამტკიცებენ, რომ, ვთქვათ, საქმიანი ურთიერთობის შემდგომი განვითარება ბიზნესის ეთიკასთანაა დაკავშირებული, ცოდნის დაგროვება – მეცნიერის უნართან გასცდეს სუბიექტივიზმს და ობიექტური, პირუთვნელი მკვლევარი გახდეს, ხელოვანმა გამოიყენოს ღმერთის მიერ ბოძებული ხალასი ნიჭი და არ გაფლანგოს ის კარიერიზმით შეპყრობილმა და ა.შ.

მაგრამ, ამასთან, არსებობს ადამიანის საქმიანობის ისეთი სფეროები, რომლებიც პირდაპირ უნდა გულისხმობდნენ კარგ კაცობას. ესაა რელიგიის მსახურება, მასწავლებლობა და პოლიტიკოსობა. **კარგი კაცობისთვის დამახასიათებელი თვისებები აქ პროფესიული ვარგისობის უშუალო კრიტერიუმებს წარმოადგენენ. სუბიექტივიზმისაგან განთავისუფლების შედეგად რეალობის უკეთესი ხედვა და აქედან გამომდინარე დამაჯერებლობა ადამიანთან ურთიერთობისას, ალტრუიზმი და საერთო სიკეთისადმი ლტოლვა უაღრესად მნიშვნელოვანი თვისებებია გაუცხოებულ ადამიანთა საზოგადოებაში, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ინტერესების დაპირისპირების სახით იჩენს თავს.** სიცოცხლის ყველა ფორმის მატერიალური და სულიერი ერთობა, ცივილიზაციის, სახელმწიფოს, ერის განვითარება, წარსულის და მომავლის, იმანენტურის და ტრანსცენდენტურის, წამიერის და მარადიულის სიღრმისეული მთლიანობა - რეალობის ისეთი ატრიბუტებია, რომლებიც, მიუხედავად მათი უდიდესი მნიშვნელობისა, ადამიანთა უმრავლესობისათვის უშუალო ემპირიულ ფაქტებს არ წარმოადგენს. ამიტომ, საზოგადოებასა და პიროვნებაში ამ რეალობის აქტუალიზაცია, რასაც აღნიშნული პროფესიები ემსახურებიან, ადამიანებს შორის გაუცხოების მოხსნას ნიშნავს.

# კარგი კაცი

**რელიგია და განათლება გაუცხოების მოხსნით პიროვნებებში აყალიბებს ადამიანთა ერთიანობის გრძნობას. პოლიტიკა კი შესაძლებელს ხდის გაუცხოების მოხსნას უშუალოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რითაც საერთო საქმის გაკეთების საფუძველი იქმნება და დაკმაყოფილდება საერთო ინტერესები.**

პოლიტიკა თავისთავად ბინძური საქმე არ არის. კარგმა კაცმა ეს მშვენივრად იცის. ვინც საწინააღმდეგოდ ფიქრობს, ამით, თითქოსდა, თავს იმართლებს, რადგან უნდა საკუთარი სიბინძურე შეიტანოს პოლიტიკაში და ადამიანთა ნაკლოვან მხარეებზე დაყრდნობით, დემაგოგიით და პოპულიზმით მოახდინოს მათი მანიპულირება. თუ კაცი არ გრძნობს, რომ მისი პირადი ცხოვრების არსი საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურია, მას პოლიტიკაში არაფერი უნდა ესაქმებოდეს. ჩვენს ეროვნულ ისტორიას მრავალი ამგვარი მაგალითი შემოუნახავს, როცა კაცის მთავარი საფიქრალი – ეროვნული განვითარება და ქვეყნის საერთო საქმეა.

იმედი ვიქონიოდ, რომ ხალხის პოლიტიკური სიმწიფის ამჟამინდელი დონე უკვე იძლევა კარგის და ცუდის უკეთ გარჩევის საშუალებას, ხოლო, ქვეყნის მმართველობითს ელიტაში ყოფნის რაც უფრო მაღალი პრეტენზიები ექნება ადამიანს, მით უფრო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე კარგი კაცობა უნდა მოეთხოვებოდეს. **ქარიზმატიული ლიდერის ყოლა, ალბათ, სასურველია. მაგრამ, თუ ასეთი არ არის, ეს არ უნდა გახდეს განვითარების შემაფერხებელი. მთავარია საზოგადოებრივი მართვის, გადამოწმების და დაბალანსების ისეთი მექანიზმის შექმნა, როდესაც ჩვეულებრივი პოლიტიკოსიც – კარგი კაციც პირნათლად გაუძღვებოდა საერთო საქმეს.**

**ოთარ კანდელაკი,**
დოქტორი, საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი.

№ 146. ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2007 წელი.

# ეს არ არის საქართველო!

**დემოკრატიასთან ერთად მეფურთხეობის განვითარებას საქართველოში რომ კარგი პერსპექტივა ეჭყანება, ამაში ეჭვი სულაც არ მეპარება**



◎ ვაი, სირცხვილო!

# შემაფურთხე, არ მეწყინება!

**ალბათ ამერიკის ხელახლა აღმოჩენად არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ საქართველოში დემოკრატიზაციისა და ეკონომიკის სასწაულებრივი ზრდის პროცესის პარალელურად, არნახული ძვრები ხდება ადამიანთა ყოფითსა და სულიერ ურთიერთობებშიც, რაც, უწინარესად, აისახება სალაპარაკო ლექსიკაში, ჩვენი ურთიერთობების ამ ყველაზე სათუთ და მგრძნობიარე ინსტრუმენტში. თვალის დახამხამებაში ქრება ცალკეული სიტყვებისა და ცნებების ძველებური, ასე ვთქვათ, კომუნისტური აღქმა და იმავე წუთს იბადება მათი დღევანდელობის სადარი გაგება. ჩნდება სრულიად ახალი სიტყვები და ტერმინებიც.**

რა თქმა უნდა, ამის ავტორები ვერ იქნებიან ძველი, ხავსმოკიდებული მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი, რაც უნდა ენციკლოპედიური განათლებისანი იყვნენ ისინი. ამის ძალილის ძალა დღეს მხოლოდ ამერიკულ და ევროპულ განათლებას ზიარებულ ჩვენს ახალგაზრდა პოლიტიკოსებსა და არც მთლად ახალგაზრდა ჩინოვნიკებს თუ შესწევთ.

აქ გამოთქმა „თუ“, მე მგონი, შეცდომით წამომცდა, რისთვისაც უეჭველი ბოდიშის მოხდა მმართებს. ისინი ამას ნამდვილად იმსახურებენ, რამეთუ ზემოთ მოხსენიებული ყველა სიახლის ავტორებად სწორედ ამ ტიპის შემოქმედნი გვევლინებიან.

დავიწყოთ თუნდაც ყველა ჩვენგანისთვის უწმინდესი სიტყვა „მიწით“, რომელსაც ქართველები საუკუნეების მანძილზე თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ – მტერს თავს შეაკლავდნენ და გოჯ მიწასაც არ დაუთმობდნენ. და თუ ვინმე უცხო ქვეყანაში ჰპოვებდა სამუდამო განსასვენებელს, მის სამარეს სამშობლოდან წაღებულ პეშვ მიწას მოაბნევდნენ და საიმქვეყნო ვარამს ამით უმსუბუქებდნენ.

დღეს მიწამ, ისევე როგორც ბევრმა სხვა ეროვნულმა სიწმინდემ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სასაქონლო შინაარსი შეიძინა, რაც საერთაშორისო ბიზნესში გაწაფული ჩვენი სახელმწიფო მოხელეების დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ამ მხრივ ქვეყანაში ალებმიცემობის და ცივილიზებული ჩარჩოების განვითარებას განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ბატონმა კახა ბენდუქიძემ, რომელიც ყველაფრისგან (მათ შორის სინდისისგან ძხელის დაბანვის შემდეგ მიწასაც მისდგა. თანაც ისე, ჰაიჰარად კი არა, დასაბუთებულად:

– ვერ გამიგია, – აცხადებს სახელმწიფო მინისტრი, – თუ ის შეიძლება, რომ უცხოელის საკუთრებაში არსებულ იურიდიულ პირს ეკუთვნოდეს მიწა, რატომ არ შეიძლება თავად უცხოელი ფლობდეს მას? ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს მიწა დიდუბეში, ის მაინც საქართველოს, თბილისის ნაწილი იქნება. იქ, სადაც იაპონელი იყიდის 1 ჰექტარ მიწას, იაპონია არ გაჩნდება...

ბატონ კახასვე ეკუთვნის მისწრებული გამოთქმა: როგორ ფიქრობთ, ის უცხოელი, რომელიც საქართველოში მიწას იყიდის, მას ზურგზე მოიკიდებს და საკუთარ სამშობლოში გადაიტანს?

შეიბრალეთ, ხალხნო, მოკვდა კაცი ამდენი ახსნა-განმარტებით და მეტი რაღა ქნას, დამატებით კიდევ სინდისი დაიფიცოს? ამ წონის მოხელე მოიკუნტა, რაც შეეძლო დაპატარავდა, რათა ყველაზე პატარებისთვისაც კი გასაგები გამხდარიყო საქართველოში მიწის გაყიდვის აუცილებლობის მარტივი ფილოსოფია. და ამის შემდეგ თუ კიდევ ვინმესთვის რაიმე გაუგებარი დარჩა, ეს უკვე მისი პრობლემაა და არა ბატონი სახელმწიფო მინისტრის (?!ძ.

ან რა იყო ამხელა ღავლავის ასატეხი იმაში, განათლების მინისტრმა „ბავშვი“ შეცდომით რომ დაწერა? ბევრმა დღემდე რატომღაც ვერ გაიგო, რომ კახა ლომაია ქვეყანაში განათლების რეფორმის განხრითაა (სასწავლებლების შერწყმა-გაერთიანება, ცნობილი მეცნიერების გაყრა და ა.შ.ძ მინისტრი და არა მართლწერის ხაზით, მით უფრო, თუ ის წყალკანალის სპეციალისტია და არა პედაგოგიკის.

როგორც ვიცი, არც ბატონი პეტრე ცისკარიშვილი გახლავთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მაგრამ იოლად მიხვდა, რომ დღემდე ღვინის მრეწველობაში დამკვიდრებული ტერმინი „დეკალიტრი“ კომუნისტური წარმომავლობისაა და ხმარებიდან სამართლიანად ამოაგდო. ამან საქმე მნიშვნელოვნად გააიოლა, ახლა ჩვენი მეწარმეები ღვინის მოცულობას დეკალიტრებით კი არა, ბოთლების რაოდენობით ზომავენ და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ბაზარი დავკარგეთ, დიდად მოგებულნი რჩებიან.

აქედან გამომდინარე, მინისტრმა ალბათ უნდა იფიქროს ისეთი მოძველებული, უკვე ამორტიზებული საზომი ერთეულის გაუქმებაზეც, როგორიცაა „ჰექტარი“, თორემ ამან, შეიძლება სოფლის მეურნეობას სამომავლოდ დიდი ზიანი მიაყენოს.

ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ როცა ასეთ უბრალო საკითხებს მინისტრები, გნებავთ, ჟურნალისტები, ვერ აგვარებენ, მათზე რეაგირება უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტს უხდება, რაც მას ძვირადღირებულ დროს ტყუილუბრალოდ აკარგვინებს. ამას წინათაც ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლისას ბატონი მიხეილ სააკაშვილი იძულებული გახდა ეთქვა (ეტყობა, გაზეთებს ჩუმჩუმად მაინც კითხულობს), რომ ჟურნალისტები ხშირად ერთმანეთში ურევენ „მოსახლეობას“ და „საზოგადოებას“, რაც თურმე დიდ გაუგებრობას იწვევს. რა საჭიროა ვიხმაროთ მოძველებული, არაფრისმთქმელი სიტყვა „მოსახლეობა“, როცა გვაქვს თანამედროვე, ევროსტანდარტების შესატყვისი ცნება „საზოგადოება“, მით უფრო, რომ ასეთი საზოგადოება ჩვენთან უკვე შეიქმნა და მაღალ დემოკრატიულ ღირებულებებსაც ეზიარაო, – განაცხადა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტს რომ არ ეთქვა, ამას თავად ჟურნალისტები ვერ უნდა მივხვედრილიყავით? რა საჭიროა, მაგალითად, ამდენი წერა მოსახლეობის სილატაკეზე, უუფლებობაზე, ტარიფების გაუმართლებელ ზრდასა თუ გაუსაძლის ყოფაზე, მაშინ გეოგრაფიული, თეატრალური და სხვა უამრავი საზოგადოება, როცა ქვეყანაში არსებობენ და მოქმედებენ სააქციო საზოგადოებები, რომლებიც თავად ქმნიან თანამედროვე ყოფით და სულიერ ღირებულებებს?

ზოგი მაინც მიჩვეულია, თუ არავის შეაფურთხა, ისე ვერ მოისვენებს. ასეთებს ავიწყდებათ, რომ თვით „მიფურთხებამაც“ დაკარგა ძველი შინაარსი – შეურაცხმყოფელი ფუნქცია და ჩვენს ახალ, დემოკრატიის მშენებელ საზოგადოებას (კინაღამ მოსახლეობა წამომცდა!) ჟრუანტელის მომგვრელ სასიამოვნო ქმედებად მოევლინა. ამის თვალხილული მაგალითი მოგვცეს გიორგი თარგამაძის „დროების“ სტუმარმა სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა, რომლებიც ერთმანეთს ისე გუნებიერად და მადის აღმძვრელად აფურთხებდნენ, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, შეფურთხება შენც მოგინდებოდა. ნანახმა და განცდილმა ჩემი კოლეგა გურამ გოგიაშვილი იმდენად მოხიბლა, რომ ამ აკადემიის რექტორს ბატონ გია ბუღაძეს ურჩია, ვიდრე მისი სასწავლებელი სხვისთვის არ შეუერთებიათ, მოასწროს და ცალკე მეფურთხეობის ფაკულტეტი გახსნას.

ცალკე ფაკულტეტზე რა მოგახსენოთ, მაგრამ დემოკრატიასთან ერთად მეფურთხეობის განვითარებას საქართველოში რომ კარგი პერსპექტივა ეჭყანება, ამაში ეჭვი სულაც არ მეპარება. ამის გარანტიას თავად მთავრობა იძლევა, რომლის წევრები იმდენად გადემოკრატდნენ, რომ ხალხის შეფურთხებაზე აღარც კი რეაგირებენ. ამ შემთხვევაშიც ისევ კახა ბენდუქიძის მაგალითი გამოდგება, რომელმაც გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „იმ კაცზე, რომ შემაფურთხა, არ გავბრაზებულვარ“. არ თქვა, მაგრამ რადგან არ გაბრაზდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესიამოვნა კიდეც.

გასათვალისწინებელი მომენტია. ეს ფაქტი ხალხს სტიმულს აძლევს, როცა მას მთავრობა აფურთხებს (რაც არცთუ იშვიათად ხდებაძ, არ განერვიულდეს, პირიქით, ნასიამოვნები დარჩეს და ნიშნად ერთგულებისა, არც მოიწმინდოს.

ისე, კაცმა რომ თქვას, რა არის ამაში დასაძრახი – შენი მთავრობა გაფურთხებს, სხვისა ხომ არა!

**ოთარ ხუციშვილი**

◎ დედაქალაქი

# ვის დარჩება მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა?

**ზაფხულია, ცხელა, ხუთ ჰექტარამდე გადაჭიმულ მუშთაიდის ბაღში კი გრილა; ჩიტების ჭიკჭიკს ხეთა ფოთლების შრიალი ენაცვლება... ტრიალებს „ეშმაკის ბორბალი“, „საპრიზო ტირთან“ ახალგაზრდები შეკრებილან, „საბავშვო ავტომანქანებში“ ჩასკუპებულან პატარა „მძღოლები“, „პატარა მატარებელს“ მართავს ნიკუშა ხვედელიძე... „ნავებზე“ მოკალათებულან ბავშვები და ნელა დაცურავენ არც ისე პატარა აუზში (პარკის ტერიტორიაზე 15 დასახელების ატრაქციონი მოქმედებსძ; ამ დროს 30-მდე სტუდენტი ოფლში იწურება, ახალგაზრდები აღდგენით სამუშაოზე შრომობენ. ირგვლივ ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობა.**

დღეს თბილისის მერიას ეკუთვნის მუშთაიდის პარკი. სწორედ მერის გიგი უგულავას თაოსნობით შედგა დედაქალაქის სხვა ბაღებთან ერთად მუშთაიდის პარკის კაპიტალურად აღდგენის პროგრამა. აქ ფასი ძალზე დაბალია, 50-80 თეთრი ღირს თითო სათამაშოზე გართობა.



მუშთაიდის პარკის დირექტორს ირაკლი ბითაძეს ამ პარკში განლაგებულ საბავშვო რკინიგზის ბედზე ვკითხეთ. მან მიპასუხა:

– ის ჩვენ არ გვეკუთვნის, ჯერჯერობით კი მუშაობს...

...შემდეგ საბავშვო რკინიგზის უფროსს ავთანდილ ჭანიშვილს მივაკითხე:

– საბავშვო რკინიგზა ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა, – მითხრა მან. – რა ბედი ეწევა მსოფლიოში პირველ საბავშვო რკინიგზას (არადა ეს სახელოვანი ისტორიააძ, არ ვიცით. ვიმეორებ: მაშინ მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა საქართველოს ჰქონდა. შემდეგ აიგო რუსეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, ყოფილი სსრ კავშირის დიდ ქალაქებში. ჩვენი საბავშვო რკინიგზის ერთ-ერთი მშენებელი ეთერ კობიაშვილი დღესაც მუშაობს მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში. საბავშვო რკინიგზა 1935 წელს გაიხსნა. ჩვენი აზრით, საბავშვო რკინიგზა არ უნდა გამოეყოს საქართველოს რკინიგზას. თავიდანვე საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში იყო და მოვლა-პატრონობასაც ჯეროვნად უწევდა. ჯერჯერობით, ხელფასს სწორედ საქართველოს რკინიგზა გვაძლევს, ის გვაფინანსებს; კვლავ მუშაობს საბავშვო რკინიგზის სამი სადგური „მერცხალი“, „მზიური“ და „სიხარული“.

* * *

**მუშთაიდის პარკს სევდიანი ისტორია აქვს. დღემდე ჩვენი დედაქალაქის აუცილებელ ატრიბუტად ქცეული პარკი ირანელი ალა-მირ-ფათაჰის (მუშთაიდისძ დაარსებულია.** ამის მიზეზი კი ქართველი ქალი ნინო იყო, რომელიც მან ტყვეთა ბაზარზე იყიდა და ცოლად შეირთო... თბილისში დაბრუნებულ ნინოს მშობლები ცოცხლები არ დახვედრია და დარდისგან ისიც მალე გარდაცვლილა. მუშთაიდი ვიდრე შაჰმა არ შეიწყალა, აქ ცხოვრობდა. პარკი ქალაქის ხაზინამ შეიძინა და 1888 წელს ქალაქის სათათბიროს გადაწყვეტილებით მუშთაიდის ბაღი ქალაქის საკუთრებად გამოცხადდა. ეს ბაღი მაშინვე თბილისელებისთვის დასვენებისა და გართობის წალკოტად იქცა.

ამ ბაღის ღია რესტორანში ნახა ნიკო ფიროსმანმა აქტრისა მარგარიტა...

საგულისხმოა ისიც, რომ ამიერკავკასიაში საჰაერო ბურთით პირველი აფრენა 1882 წელს სწორედ ამ ბაღში განხორციელდა.

მუშთაიდის ბაღმა კარგად გაუძლო ჟამთა დინებას და დღემდე მოაღწია.

საბავშვო რკინიგზაც ყოველთვის მუშთაიდის ბაღის განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა. დღეს კი გაურკვეველია, ვის დარჩება ის.

**ნათელა ფაილოძე**

№ 146. ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2007 წელი.

ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით (ვისთანაც კავშირისკენ მივილტვით), ჩვენს გზებზე საპირფარეშოს ვერ შეხვდებით. ჯვრის უღელტეხილზე, მაგალითად, მის მაგივრობას გვირაბები, ზვავსაწინააღმდეგო დერეფნები და ასაქცევები ასრულებს





ტურისტული ზაფხული

# ერთი დღე სტეფანწმინდაში

*ჯვრის უღელტეხილზე მგზავრობა ერთი სიამოვნებაა. მაღლა-მაღლა ადიხარ და შენს ქვევით არაგვის ხეობის ცქერით ტკბები. ეს ყველაფერი გუდაურამდე. მერე კი გზა ერთბაშად ფუჭდება, ოღროჩოღრო ხდება და ჩვენი ავტობუსიც ხან ერთ ორმოში ჩავარდება, ხან — მეორეში. ჯაყჯაყისაგან კაცს გულ-მუცელი ერევა და მომეტებულად ფანჯარაში იხედება — ეგების სადმე დავლანდოო საპირფარეშო. ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით (ვისთანაც კავშირისკენ მივილტვით), ჩვენს გზებზე საპირფარეშოს ვერ შეხვდებით. ჯვრის უღელტეხილზე, მაგალითად, მის მაგივრობას გვირაბები, ზვავსაწინააღმდეგო დერეფნები და ასაქცევები ასრულებს.*

გუდაური ხარახოებში ჩამჯდარა. აშენებული და დასრულებულიც ბევრია. სასტუმროები, კაფე-ბარები, სათხილამურო ბაზა, გასართობი დაწესებულებები. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სხდომა-თათბირებიც ხშირად აქ იმართება.

გუდაურს გავცდით და გზაზე ისეთი მტვერი და ბუღი ავარდა, კარგა ხანს მზეც კი აღარ ჩანდა ცაზე. ბოლოს, სტეფანწმინდაშიც ჩავედით და მყინვარის დანახვამ გზაში განცდილი ყველა უსიამოვნება დაგვავიწყა.

გაგანია ტურისტული სეზონია. დუღს და ფუსფუსებს სტეფანწმინდა — ავტობუსები, მსუბუქი მანქანები, უამრავი სტუმარი — ჩვენებური თუ უცხოელი ირევა დაბის მთავარ მოედანზე.

გერგეტის სამების ეკლესია სტეფანწმინდის მთავარი ღირსშესანიშნაობაა, მაგრამ ჯერ ალექსანდრე ყაზბეგის სახლი და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი უნდა მოვინახულოთ. მუზეუმისკენ მიმავალ გზაზე კანტიკუნტად თუ გაივლის ვინმე. ვისაც აქ ადრე ხალხმრავლობა ახსოვს, ამას ძნელად დაიჯერებს. მდუმარება დამხვდა მუზეუმის ეზოშიც.

დრო იყო აქ ექსკურსანტების რიგი იდგა.

— დღეში რატომ ათი-თორმეტი ავტობუსი არ მოგვადგებოდა, — მეუბნება ექსკურსიამძღოლი მანანა წიკლაური, რომელიც მუზეუმის კარებში შემოგვეგება. — ახლა ამდენი ხალხი ჩვენს არემარეზე შეიძლება მთელ სეზონზეც არ გამოჩნდეს.

დაბის მოედანზე კი სარეკლამო დაფებისა და მაჩვენებლების პარადია: „შეჩერდი, მგზავრო, ჩვენებური ხინკალი იგემე", „მყინვარწვერის ცქერა გსურთ? დაჯავშნეთ ადგილები ჩვენს სასტუმროში", „ცხენებით გასეირნების მოყვარულთათვის". „პეპსი", ნუ იტყვით და, ახალი თაობის სასმელია. მაგრამ ის მაჩვენებელი სადღაა, რისი დახმარებითაც ტურისტი ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმისკენ იგნებდა გზას? ტყუილად დაუწყებთ ძებნას... ახლა სხვა დროა. ადამიანებს „ყაზბეგის" ლუდი მეტ სიამოვნებას გვრის, ვიდრე ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების ცოდნა.

ისიც უნდა ვთქვა, რომ ექსკურსიამძღოლი ჩვენი გაცნობით იმედგაცრუებული დარჩა.

— მეგონა კულტურის სამინისტროდან იყავით, ვიფიქრე, გვეშველა-მეთქი. მაგრამ რა, გაზეთიდან ყოფილხართ.

— კულტურის მინისტრი გვყავდა ერთი, — ამ სიმაღლეზე კი არა, გავეშებული მტკვარი კლდეში ნაკვეთ ქალაქს რომ დაეტაკა და უზარმაზარი მიწის ნაჭერი მოგლიჯა და წაიღო, მაშინაც კი ვერ ჩავიყვანეთ უფლისციხეში და თქვენ ზღვის დონიდან 1800 მეტრზე მისი ამოყვანა გსურთ?!

— ბარიდან ექსკურსანტების ავტობუსი ამოვიდაო, გავიგებთ თუ არა, — განაგრძობს საუბარს ექსკურსიამძღოლი, — მოედანზე გავრბივართ და სტუმრებს ვეხვეწებით, ბატონო, ჯერ ჩვენთან შემოდით, ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებას, ხევის ისტორიულ წარსულს გაეცანით, გერგეტის სამებაზე კი მერე ადით, თან უკვე ბევრი რამ გეცოდინებათ-მეთქი...

— აქეთობას აუცილებლად შემოგივლითო, — შეპირებით კი გვპირდებიან, მაგრამ ტყე-ღრეში, აღმართ-დაღმართში სიარულისგან ილაჯგაწყვეტილი ხალხი ჩვენი მუზეუმის ექსპოზიციების დათვალიერების ხასიათზე იქნება?! უკანმოუხედავად გარბიან ქალაქისკენ...

საუბარი დამთავრებული არ გვქონდა, რომ დერეფანში აჩქარებული ფეხის ხმა გაისმა. დამლაგებელი შემოვიდა. აღელვებული ჩანდა.

—ვილაცამ, პარლამენტარების ცოლები გერგეტობაზე ავტობუსით ამოვიდნენო. გავიდეთ, ეგებ მუზეუმის დათვალიერებაც ისურვონ.

— პარლამენტარების ცოლები ჩვენს მუზეუმში? — დაფიქრებით თქვა ექსკურსიამძღოლმა. — თუმცა, რატომ არა, ხომ შეიძლება რომელიმეს წაკითხულიც კი ჰქონდეს „ელგუჯა" ან „მამის მკვლელი", — წავიდეთ.

მუზეუმიდან სამთავე ერთად გამოვედით. მე გულდამძიმებული, მასპინძელი კი იმის იმედით, რომ თბილისის „ბომონდს" (უცხო სიტყვათა ლექსიკონის წაბაძვით ამ სიტყვას მეც წინწკლებით გავაპატიოსნებ) მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიიყვანენ. ისინიც აუცილებლად წამოყვებიან, ახალ ექსპოზიციას დაათვალიერებენ, ლექციას მოისმენენ, სხვა რომ არა იყოს რა, მრგვალი თარიღი ახლოვდება — დიდი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 160 წლისთავი.

**გურამ ვაშაკიძე**

პრესკონფერენცია

# გაძვირების აჩრდილი კვლავ დაძრწის ქვეყანაში

## ინტერნეტი უნდა განვითარდეს, ოღონდ ვის ხარჯზე?

**ახლა XXI საუკუნე გვიდგას, რომლის ერთ-ერთი ატრიბუტი გახლავთ ინტერნეტი. სერვისი ისეთი რამაა, რომელიც ყოველი ოჯახისა და აბონენტისათვის უნდა იყოს მისაწვდომი. უინტერნეტოდ კი ნამდვილი სერვისი, ინფორმაციული იქნება თუ უფრო ფართოდ, ინტელექტუალური, შეუძლებელია. არადა, საქართველოში ინტერნეტის განვითარებას უკვე შეექმნა პრობლემები.**

ამ დღეებში თბილისის საერთაშორისო პრესცენტრში (სააგენტო „ახალი ამბები") შემდგარი ლაპარაკი სწორედ ასეთ პრობლემებს შეეხო. პრესკონფერენციის პრეზიდიუმში სამი ფიგურანტი ვიხილეთ: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სტრატეგიული განვითარებისა და კონკურენციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **გელა ბუტბაია**, „Caucasus onlaine"-ის ფინანსური დირექტორი **იაგო ხაჭვანი** და გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის „საქართველოს ტელეკომის" გენერალური დირექტორის მოადგილე **ივა მარტიაშვილი**. შეხლა-შემოხლაც მათ შორის გაჩაღდა — ინტერნეტ-პროვაიდერებსა და „ტელეკომს" შორის გაჩენილი კონფლიქტის გამო. საქმე ისაა, რომ „ტელეკომმა" დამატებითი სააბონენტო საფასური დააწესა სატელეფონო ხაზებით ინტერნეტ-მოსარგებლეთათვის.

ინტერნეტ-პროვაიდერები ფიქრობენ, რომ ახალი ტარიფი მნიშვნელოვნად შეამცირებს საქართველოში ინტერნეტ-მოსარგებლეთა რიცხვს, რაც მიუღებელია არა მხოლოდ პროვაიდერთათვის (დროა მკითხველს შევახსენოთ, რომ პროვაიდერი ნიშნავს მომწოდებელს, გამავრცელებელს), არამედ მოსახლეობის იმ ფართო ფენებისთვისაც, საიდანაც თანდათანობით შეივსება ეს რაოდენობა.

ქართველ ინტერნეტ-პროვაიდერთა შორის აისვეტა ახალი მოთამაშე, საფასო პოლიტიკით კონკურენტთა შემავიწროებელი. „საქართველოს ტელეკომმა", რომელმაც პრივატიზაციის პროცესი უკვე გაიარა, ახალი ტარიფები დააწესა სატელეფონო ხაზებზე: ყოველთვიური შესატანი ინტერნეტში მაღალსიჩქარიანი სატელეფონო შეშვებით სარგებლობისათვის თბილისში გახდა, უკვე ივლისიდან, 15 ლარი. ეს თანხა კი როდი მოიცავს სააბონენტო საფასურს ჩვეულებრივი სატელეფონო კავშირით სარგებლობისათვის — დამატებითია.



კომპანია-პროვაიდერი "Caucasus online" უკანონოდ მიიჩნევს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის ამ გადაწყვეტილებას, მით უფრო, რომ გადიდებული ტარიფის გადახდა კომპანიის მოსარგებლეთ პირველი ივლისიდან უწევთ.

— იყო ცდა ისე გაეკეთებინათ, რომ ეს ტარიფი ჩვენ გადაგვეხადა. შედეგად, ბუნებრივია, იძულებული გავხდებოდით, რომ ჩვენი მოსარგებლეებისათვის აგვეწია ფასები ინტერნეტ-მომსახურებაზე, — გვითხრა იაგო ხაჭვანმა. — ჩვენ ამას არ დავთანხმდით. რადგან ტარიფის გაზრდის გადაწყვეტილებას ჩვენი მხრიდან არავითარი სამართლებრივი საფუძვლები არ გააჩნია, კომპანია „ტელეკომში" დაადგინეს, რომ უფრო ხელსაყრელი იქნება საფასურის დაწესება უშუალოდ კონკრეტულ მოსარგებლეთათვის...

ფინანსურმა დირექტორმა დაუმატა, რომ მისი კომპანია ყოველმხრივ დაეხმარება თავის მოსარგებლეთ უფლებების დაცვაში, თვით სასამართლო პროცესში ჩართვითაც.

რასაკვირველია, მეორე მხარემაც იქვე აიღო სიტყვა და „ტელეკომის" გენერალური დირექტორის მოადგილის ილია მარტიაშვილის ენაპირით გვაცნობა, რომ მოცემული ტარიფი დადგინდა რეალური გაანგარიშებებისა და იმ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც მის კომპანიას მოსდის სხვადასხვა პროვაიდერის მიერ მოსარგებლეთათვის ინტერნეტ-სამსახურის გაწევისას.

— ახლა ბაზარზე ისეთი სიტუაციაა, როცა რამდენიმე კომპანია გაერთიანდა ერთ მსხვილ კომპანიად „Caucasus online"; ოღონდ ნუ დაგვავიწყდება, რომ სხვა პროვაიდერებიც არიან, რომლებიც ჩვენი სამსახურით სარგებლობენ. ახლა ტარიფს ყველა დაეთანხმა, „Caucasus"-ის გარდა. ჩვენ იძულებული ვხდებით ასეთი ტარიფი მოსახლეობას დავუდგინოთ „Caucasus"-ის უარის გამო. ეს ნიშნავს, რომ ამ კომპანიიდან ინტერნეტით ყველა მოსარგებლე აღნიშნულ თანხას პირდაპირ ჩვენ გადაგვიხდის, — ხაზი გაუსვა ბატონმა ილიამ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სტრატეგიული განვითარებისა და კონკურენციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გელა ბუტბაიამ კონფლიქტის წინაისტორია გაიხსენა და დასძინა:

— ეს ორ ოპერატორს შორის წმინდა საქმიანი დამოკიდებულებებია. კომისიას, როგორც ასეთს, არ შეუძლია ამ ურთიერთობებში ჩარევა პირველ ეტაპზე. არ შეუძლია იმიტომ, რომ ის კომერციულ საქმიანობას არ ახორციელებს და კომპანიების მაგიერ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას. თვით პროვაიდერებმა უნდა გააკეთონ ეს.

ბატონმა გელამ დასკვნის სახით განაცხადა, რომ შექმნილ სიტუაციას არ თვლის განსაკუთრებულ პრობლემად, რამდენადაც ამ სფეროში არ არის გადაუჭრელი საკითხები, მით უმეტეს, რომ არსებობს გარკვეული საკონონმდებლო ნორმატიული ბაზა სწორედ სადავო საკითხთა დასარეგულირებლად.

— მდგომარეობა ამ დროისათვის ფაქტობრივად გაყინულია. იმედს გამოვთქვამ, რომ კომპანიები შეძლებენ საერთო ენის გამონახვას ურთიერთმისაღებ ფარგლებში და ისეთნაირად, რომ არ შეილახოს ამა თუ იმ პროვაიდერების სამსახურით მოსარგებლეთა ინტერესები.

**ამ აზრს ყველა მოდავე მხარე დაეთანხმა, მაგრამ ვაითუ საბოლოოდ მაინც ინტერნეტით მოსარგებლეთა ჯიბე დაზარალდეს. ამის გამოცდილება, სავალალოდ, საჭიროზე მეტი გვაქვს...**

**თამაზ ებანოიძე**

● სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ფილიალი განიხილავს ყველა სახის პენსიის დანიშვნის საკითხს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის სრულყოფილად წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში



◎ თქვენ ეს განსაკუთრებით გაინტერესებთ!

# სახელმწიფო პენსიების დანიშვნის, გაცემისა და შეწყვეტის პირობები მოქმედი კანონის მიხედვით

*ათიოდე დღის წინათ გაზეთის ერთ-ერთ პუბლიკაციაში საუბარი გვქონდა სახელმწიფო პენსიის დანიშვნის ძირითადი საფუძვლების შესახებ; განვმარტეთ ასაკით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსითა და მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ვისაუბრეთ აგრეთვე ცალკეული კატეგორიების პირებისთვის საერთო პენსიისგან განსხვავებული პირობებით პენსიის დანიშვნის წესზე.*

*დღევანდელ ნომერში მოგაწვდით ინფორმაციას სახელმწიფო პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, შეწყვეტის, განახლების და გადაანგარიშების საკითხებზე.*

მოქმედი კანონის თანახმად, პენსიის დასანიშნად მიმართვა ხდება პენსიის დანიშვნის საფუძვლის წარმოშობიდან ნებისმიერ დროს, რის შესახებაც წერილობითი განცხადება შედის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ფილიალში პენსიის დანიშვნის მსურველი პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი სახის დოკუმენტები:

— ასაკით პენსიის დანიშვნის შემთხვევაში — პირადობის მოწმობა (როგორც უკვე ვიცით, 2006 წლის 1 იანვრიდან პენსიის დასანიშნად შრომის სტაჟი საჭირო აღარ არისძ;

— შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გამო პენსიის დანიშვნის შემთხვევაში — პირადობის მოწმობა და სამედიცინო-საექსპერტო კომისიის შემოწმების აქტის ამონაწერი;

— შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის შემთხვევაში — მშობლის (თუ მშობელი არ ჰყავს — მეურვისძ პირადობის მოწმობა, ბავშვის დაბადების მოწმობა, სამედიცინო-საექსპერტო კომისიის აქტის ამონაწერი;

— მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის დანიშვნის შემთხვევაში ერთ-ერთი მშობლის ან მეურვის პირადობის მოწმობა, მარჩენალის გარდაცვალების მოწმობა, მარჩენალდაკარგულის დაბადების მოწმობა;

— დედ-მამით ობოლ ბავშვებზე — მეურვის პირადობის მოწმობა, მარჩენალდაკარგულის დაბადების მოწმობა, მშობლების გარდაცვალების მოწმობები:

— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ, საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პირებისთვის პენსიის დანიშვნის შემთხვევაში;

აქ მშობლებს — პირადობის მოწმობა; გარდაცვლილი პირის დაბადების და გარდაცვალების მოწმობები, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ გარდაცვლილის მშობელი არ არის მიღწეული საპენსიო ასაკს, საჭიროა სამედიცინო კომისიის აქტის ამონაწერი მისი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად ცნობის შესახებ;

გარდაცვლილის მეუღლის დასანიშნელ მოთხოვნებზე — პირადობის მოწმობა, ქორწინების მოწმობა, მარჩენალის გარდაცვალების მოწმობა, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. საპენსიო ასაკის მიუღწევლად, სამედიცინო-საექსპერტო კომისიის აქტის ამონაწერი;

გარ შვილის (ნაშვილებისთვის ერთ-ერთი მშობლის ან მეურვის დაბადების მოწმობა, მარჩენალის გარდაცვალების მოწმობა, შვილის (ნაშვილებისძ დაბადების მოწმობა და ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

— ომის მონაწილეებზე პენსიის დანიშვნის შემთხვევაში:

— პირადობის მოწმობა, ვეტერანთა დეპარტამენტის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

— ომის ინვალიდებზე — პირადობის მოწმობა, ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, სამედიცინო კომისიის შემოწმების აქტის ამონაწერი, სადაც მითითებული იქნება შესაძლებლობის შეზღუდვის (ინვალიდობისძ კავშირი ომთან;

— ომის ვეტერანებთან გათანაბრებულმა პირებმა პენსიის დანიშვნის შემთხვევაში უნდა წარმოადგინონ:

— პირადობის მოწმობა და ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

— „ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა სამხედრო ან სამოქალაქო დანიშნულების ბირთვულ ობიექტებზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეებისა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მონაწილეობის გამო პენსიის დანიშვნის შემთხვევაში, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ფილიალში წარდგენილი უნდა იქნეს — პირადობის მოწმობა, პენსიის დანიშვნის მსურველი პირის ამ ობიექტზე ყოფნის დამადასტურებელი საბუთი (რომელსაც გასცემს სამხედრო კომისარიატი ან ორგანიზაცია, რომლიდანაც იყო მივლინებულიძ;

— „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“. საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა პირმა შესაძლებლობის შეზღუდვის გამო პენსიის დანიშვნის შემთხვევაში — პირადობის მოწმობა, სამედიცინო-საექსპერტო კომისიის შემოწმების აქტის ამონაწერი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამოწმებული „9 აპრილის“ მონაწილის საბუთი;

— „ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაზარალებულთა აღიარებისა და მათი სოციალური დაცვის გარანტიების შესახებ“. საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულმა პირმა — პირადობის მოწმობა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამოწმებული „9 აპრილის“ მონაწილის საბუთი;

— „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულმა პირმა, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების გამო პენსიის დანიშვნის შემთხვევაში — პირადობის მოწმობა და სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების შესახებ;

— „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულმა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებული პირის გარდაცვალების გამო მისი ოჯახის შრომისუუნარო წევრისათვის პენსიის დანიშვნის შემთხვევაში: მშობელმა — პირადობის მოწმობა, გარდაცვლილი პირის დაბადების და გარდაცვალების მოწმობები, სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ, საპენსიო ასაკის მიღწევამდე საექიმო-საექსპერტო კომისიის შემოწმების აქტის ამონაწერი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირად ცნობის შესახებ. მეუღლეებმა პირადობის მოწმობა, ქორწინების მოწმობა და მარჩენალის გარდაცვალების მოწმობა, სასამართლოს გადაწყვეტილება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ, საპენსიო ასაკის მიღწევამდე საექიმო საექსპერტო კომისიის შემოწმების აქტის ამონაწერი, შვილმა (ნაშვილებმაძ პირადობის მოწმობა, მარჩენალის გარდაცვალების მოწმობა, დაბადების მოწმობა, გარდაცვლილი მარჩენალის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება, საპენსიო ასაკის მიღწევამდე საექიმო-საექსპერტო კომისიის შემოწმების აქტის ამონაწერი.

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირმა, პენსიის დანიშვნისთვის საჭირო საბუთებთან ერთად, დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან, მისი საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო 10 წლის მანძილზე კანონიერად ცხოვრების შესახებ. აღნიშნული არ ვრცელდება მარჩენალის გარდაცვალების გამო პენსიის დანიშვნის შემთხვევაში, მშობლებზე (მეურვეზეძ საპენსიო საქმის გახსნისათვის, ხოლო ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა სოციალური დაზღვევის ფონდის ფილიალში უნდა წარმოადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ იგი არ იღებს არანაირ პენსიას ან სოციალურ დახმარებას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც იგი ითვლება.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ფილიალი განიხილავს ყველა სახის პენსიის დანიშვნის საკითხს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის სრულყოფილად წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

შეზღუდული შესაძლებლობისა და საპენსიო ასაკის გამო პენსია ინიშნება განცხადების წარდგენის დღიდან, მარჩენალის გარდაცვალების საფუძვლით კი — მარჩენალის გარდაცვალების დღიდან, თუ განცხადება კომპეტენტურ ორგანოში წარდგენილია ამ საფუძვლის წარმოშობიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში პენსია ინიშნება განცხადებისა და საბუთების წარდგენის დღიდან.

პენსია გაიცემა მთელ ტერიტორიაზე, მოქალაქის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. მიმდინარე თვის პენსიის გაცემა წარმოებს იმავე თვეში, ხოლო ადგილზე მიტანა მომდევნო თვის ბოლომდე. პენსიის გაცემის კონკრეტული ვადები რეგულირდება ფონდსა და პენსიის გამცემ ორგანიზაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე.

პენსიონერისთვის პენსიის ბინაზე მიტანა ხორციელდება განსაკუთრებულ შემთხვევებში პენსიონერის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

პენსიის მიმღები პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მისთვის დარიცხული საპენსიო თანხების გაცემა ხდება მის მემკვიდრეებზე, თუ მათი მიმართვა განხორციელდა გარდაცვალებიდან ერთი წლის განმავლობაში. მიუღებელი თანხები მემკვიდრეებს შორის გადანაწილდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ძირითადად, პენსია გაიცემა სოციალური დაზღვევის ფონდის მომსახურე ბანკის (ამჟამად — „საქართველოს სახალხო ბანკი“) მეშვეობით. როდესაც პენსიონერი ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ მიიღებს პენსიას და არც გარკვეულ თანხას გაიტანს ზედიზედ 6 თვის განმავლობაში, პენსიის გაცემა შეჩერდება.

პენსიის შეჩერების მიზეზი შეიძლება გახდეს ასევე იმ გარემოებების არსებობა, როდესაც საპენსიო ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 6 თვის გასვლის შემდეგ არ მომხდარა მინდობილობის განახლება; აგრეთვე ისეთი გარემოებების არსებობა, როდესაც პირი ახორციელებს პენსიის დეპოზიტზე გადატანას და 6 თვის გასვლის შემდეგ პირადად არ მიუმართავს პენსიის გამცემ მომსახურე დაწესებულებისთვის შესაბამისი განცხადებით.

პენსია შეიძლება შეჩერდეს აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ პირი იღებს მას შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გამო და სამედიცინო შემოწმებაზე არ გამოცხადდა დადგენილ ვადაში საპატიო მიზეზით (საავადმყოფოში, სანატორიუმში ან სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნის გამოძ. სხვა საპატიო მიზეზად ჩაითვლება: სამკურნალო დაწესებულების მიერ ექსპერტიზის ჩატარების გრაფიკის დარღვევა ან ფორს-მაჟორული (სტიქიური უბედურება, დაუძლეველი ძალა, საგანგებო ან საომარიძ მდგომარეობა.

საყურადღებოა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განმეორებით დადგენის შემთხვევაში პენსიის გაცემა განახლდება ასეთი სტატუსის დადგენის დღიდან და გაიცემა გასული პერიოდისთვისაც, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა.

„სახელმწიფო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად პენსიის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს შემდეგი გარემოებანი:

— პენსიონერის გარდაცვალება:

— საჯარო საქმიანობის განხორციელება; აღნიშნული შეზღუდვა ვრცელდება ყველა კატეგორიის პენსიონერზე მიუხედავად პენსიის მიღების უფლების მოპოვების ვადისა, გარდა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირებისა (თუ ვინ არიან ეს პირები, ამის შესახებ წინა სტატიაში გვქონდა საუბარიძ.

— პირის წასვლა სხვა ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებლად;

—მარჩენალდაკარგულის პირის (პირებისძ 18 წლის ასაკისათვის მიღწევა (18 წლის გადაცილებულ პირებს, რომელთაც 2006 წლის 1 იანვრამდე დანიშნული ჰქონდათ „მარჩენალის შრომის პენსია“ უგრძელდებათ პენსიის გაცემა 23 წლის ასაკამდე საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გამოძ;

— უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის საქართველოდან გაძევება;

— სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა, როცა პირს შეეფარდება თავისუფლების აღკვეთა;

— შეზღუდული შესაძლებლობის გამო პენსიის დანიშვნისათვის საჭირო შესაბამისი სტატუსის დაკარგვა;

— შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სამედიცინო-საექსპორტო კომისიაში დადგენილ ვადაში გადამოწმებაზე გამოუცხადებლობა, თუ არ არსებობს ამ წესით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი;

— ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის (გარდა ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისაძ დადგენილ ვადაში სამედიცინო გადამოწმების შემდგომ იგივე სტატუსის მინიჭება;

— პირადი განცხადება;

—სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე ყოფნა (გარდა წინასწარი პატიმრობისას და ხანდაზმულთა თავშესაფარში ყოფნისას, სადაც პენსიონერს ეძლევა კუთვნილი პენსიის 20 პროცენტიძ;

—საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;

— შეჩერებული პენსიის შეწყვეტა მოხდება, თუ შეჩერების დღიდან გასულია 3 წელი;

ზემოაღნიშნული გარემოებებით პენსიის შეწყვეტის შემთხვევაში, პენსიის გაცემა შეწყდება ამ გარემოებების დადგომის მომდევნო თვიდან (სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობისას — განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან და განახლდება წერილობითი განცხადების და დოკუმენტის წარდგენის დღიდან.

შეჩერებული პენსიის განახლება ხდება პენსიონერის მიერ სოციალური დაზღვევის ფონდში პენსიის განახლების თაობაზე განცხადების შეტანიდან მომდევნო თვეს და ანაზღაურება პენსიონერის მიერ მიუღებელი თანხა წარსული დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლისა, პენსიის შეჩერების დღიდან.

შეწყვეტილი პენსიის განახლება ხდება შეწყვეტის მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, დანიშნული პენსიის ოდენობის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

დანიშნული პენსიების ოდენობის გადაანგარიშება განხორციელდება შემდეგი წესით:

— კანონით განსაზღვრული საპენსიო ოდენობის ცვლილებების შემთხვევაში, გადაანგარიშება მოხდება ავტომატურად ფონდის მიერ და ამისათვის პენსიონერის მიმართვა საჭირო არ არის;

— თუ ხელახალი შემოწმების დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი გადაყვანილია შესაძლებლობის შეზღუდვის სხვა კატეგორიაში, ახალი სტატუსის შესაბამისად პენსია გადაიანგარიშება მომდევნო თვიდან;

—თუ მარჩენალდაკარგულ პირს პენსია დანიშნული აქვს ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების გამო, მეორე მშობლის გარდაცვალების შემთხვევაში, როგორც უდედმამოს, პენსია გადაუანგარიშდება მარჩენალის გარდაცვალების დღიდან, თუ განცხადებისა და მეორე მშობლის გარდაცვალების მოწმობას სოციალური დაზღვევის ფონდის ფილიალს წარუდგენს მარჩენალის გარდაცვალებიდან 3 თვის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პენსია დაინიშნება მომდევნო თვიდან.

იმ პირებს, რომელთაც 2006 წლის 1 იანვრამდე ერთდროულად დანიშნული ჰქონდათ ორი ან მეტი სახის პენსია, გაუგრძელდებათ მისი მიღება ერთი მთლიანი ოდენობით „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ და სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონების რეგულირების სფეროს მიუხედავად.

ირინე ღლონტი,
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი იურიდიული კონსულტანტი.

● თუ რუსეთი შეასრულებს პოზიტიურ ან თუნდაც ნეიტრალურ როლს, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირება შესაძლებელი იქნება სულ რამდენიმე თვეში ისე, რომ მოგებული ყველა მხარე დარჩება



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ნინო ბურჯანაძე: თუ რუსეთი აფხაზეთს ჩააბამს სოჭის ოლიმპიადაში, 1980 წლის ბოიკოტი განმეორდება

*ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, რომ „კოსოვოს მაგალითით მრავალმა სეპარატისტულმა რეჟიმმა შეიძლება მოითხოვოს დამოუკიდებლობა, რაც არ იქნება ლოგიკური". ვაშინგტონს არ ეპარება ეჭვი სერბეთის დაშლისა და კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მინიჭების აუცილებლობაში.*

*ამავე დროს, ბრაიზას თქმით, შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სრულიადაც არ იზიარებს განცხადებებს „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კოსოვოს მოდელის შესაძლო განმეორების" შესახებ.*

*ცხინვალსა და სოხუმში კი სხვაგვარად ფიქრობენ. იქ არ სურთ თქვან უარი დამოუკიდებლობის კურსზე. მაგრამ თბილისელ პოლიტიკოსებს იმედი აქვთ, რომ სერბეთის ბედის გაზიარება მათ ქვეყანას არ ემუქრება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივების შესახებ „ვრემია ნოვოსტის" კორესპონდენტს მიხეილ ვიგნანსკის ესაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.*

**— ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა იმყოფებოდით აფხაზეთის მახლობლად გახსნილ ქართულ ახალგაზრდულ ბანაკში, განაცხადეთ, რომ თვითაღიარებულ რესპუბლიკებზე თბილისის იურისდიქციის აღდგენის პრობლემა უახლოეს მომავალში გადაიჭრება. რას ეფუძნება ასეთი ოპტიმიზმი? სოხუმი ხომ უკვე წელიწადზე მეტია აღარ მონაწილეობს თბილისთან მოლაპარაკებაში, ცხინვალშიც მხოლოდ სუვერენიტეტზე თუ ლაპარაკობენ...**

— ოპტიმიზმი ეფუძნება იმას, რომ ჩვენ ახლა ძალზე აქტიურად ვმუშაობთ ამ კრიზისების პოლიტიკური მოწესრიგების მიმართულებით. ისახება საქართველოს მთლიანობის, ერთიანობის უზრუნველყოფის რეალური შესაძლებლობა, ჩვენს პოზიციას აქვს სერიოზული საერთაშორისო მხარდაჭერა. მწიფდება კონფლიქტების სამართლიანი მოწესრიგების წანამძღვრები და, იმედი მაქვს, რომ ეს მალე მოხდება. თუ რუსეთი შეასრულებს პოზიტიურ ან თუნდაც ნეიტრალურ როლს, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირება შესაძლებელი იქნება სულ რამდენიმე თვეში



ისე, რომ მოგებული ყველა მხარე დარჩება. რაც შეეხება აფხაზეთს, აქ უფრო მეტი დრო დაგვჭირდება, მაგრამ ვითარება აქაც საკმაოდ პერსპექტიულია.

**— საქართველომ შექმნა სამხრეთ ოსეთის სტატუსის განმსაზღვრელი სახელმწიფო კომისია, მაგრამ რუსეთი არ მონაწილეობს მის მუშაობაში...**

— ჩვენი მხრივ სწორი იყო, როცა რუსეთს შევთავაზეთ მუშაობა ამ კომისიის შემადგენლობაში, რათა მას შეძლებოდა სიტუაციის უკეთ გაცნობა. თუ რუსეთს სურს შეასრულოს შუამავლის როლი, იგი ჩვენს წინადადებას უნდა გამოეხმაუროს. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ რუსეთი ახლა არ მიიღებს მონაწილეობას კომისიის მუშაობაში და ამ პროცესში მოგვიანებით ჩაებმება, ჩვენთვის ესეც მისაღები იქნება.

**— 14 აგვისტოს სრულდება 15 წელი ქართულ-აფხაზური ომის დაწყებიდან, რომელსაც 17 ათასი კაცი შეეწირა. ნუთუ, შეუძლებელი იყო ამ კონფლიქტის თავიდან აცილება?**

— ქართველები და აფხაზები გახდნენ პროვოკაციის მსხვერპლნი. ორივე მხარე წაგებული დარჩა. ძალზე დასანანია, როცა აფხაზები ამბობენ, რომ მათ გაიმარჯვეს. ომი მოიგეს რუსეთის იმ სპეციალურმა სამსახურებმა, რომლებმაც პროვოკაციულად გამოიწვიეს მისი გაჩაღება და ამით დიდძალი ფული იშოვეს, ისევე როგორც დიდი ფული „გააკეთეს" ჩეჩნეთში ომის დროს. აფხაზეთი აყვავებული მხარე იყო, ახლა კი თითქმის გაუდაბურებულია. ყველაზე მეტად მაშფოთებს და მაშინებს ის, რომ აფხაზეთში ნერგავენ ანტიქართულ განწყობილებას, სიძულვილს ქართველების მიმართ. სიძულვილი კი, როგორც ცნობილია, ცუდი მრჩეველია.

საქართველოში არ არის სიძულვილი აფხაზების მიმართ. ვიხსენებ იმ დროს, როცა ჩემს მშობლებს და მე მრავალი მეგობარი გვყავდა აფხაზეთში, სადაც თავს ისე ვგრძნობდით, როგორც მშობლიურ სახლში. თავის მხრივ, აფხაზებიც თბილისში ასევე გრძნობდნენ თავს. თუ აფხაზური მხარე კვლავ განაგრძობს სიძულვილის დანერგვას, ეს უდიდეს ტრაგედიას მოუტანს თვით აფხაზ ხალხს. აფხაზეთში არა აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სინამდვილეში რა ხდება. იქ ინფორმაციას მხოლოდ ერთი წყაროდან იღებენ, რომელიც მიზანდასახულად თესავს აფხაზურ საზოგადოებაში შიშს საქართველოსა და ქართველების მიმართ, ცდილობს ქართველებისგან მტრის ხატის შექმნას. დროა, თვით აფხაზმა ხალხმა შეიგნოს, რომ უნდა გაიხსნას საზოგადოება, მიიღოს ინფორმაცია არამარტო რუსული, არამედ სხვა წყაროებიდანაც. აფხაზი ხალხი ბრძენია და თვითონ შეიგნებს, სად არის სიმართლე და სად — სიცრუე.

**— ამ ბოლო ხანებში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ აფხაზეთი შეიძლება ჩაებას სოჭის ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადებაში...**

— აფხაზეთი ამას ვერასდროს გააკეთებს საქართველოს თანხმობის გარეშე. თუ კონფლიქტი მოწესრიგდება, რა თქმა უნდა, ქართული მხარე მზად იქნება მთლიანად, აფხაზეთთან ერთად, ჩაებას სოჭი-2014 პროექტის განხორციელებაში, დაუჭიროს მას მხარი. თუ კონფლიქტი არ იქნება დარეგულირებული და აფხაზეთი ცალმხრივად ეცდება ოლიმპიადის მზადებაში მონაწილეობას, ან რუსეთი, ასევე ცალმხრივად ეცდება აფხაზეთის ჩაბმას ამ საქმეში, აქედან კარგი არაფერი გამოვა. რუსეთის ვიცე-პრემიერმა ჟუკოვმა განაცხადა, რომ აფხაზეთში ააგებენ რაღაც ქარხნებს, რომლებიც სოჭის ოლიმპიადისთვის გამოუშვებენ საშენ მასალებს. მას, როგორც ჩანს დაავიწყდა, რომ რუსეთის იურისდიქცია არ ვრცელდება აფხაზეთის ტერიტორიაზე. თუ კვლავაც გააკეთებენ ასეთ განცხადებებს, თუ რუსეთი ეცდება უგულებელყოს საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, ყველა ის ვალდებულება, რომლებიც მან იკისრა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიო გაერთიანების წინაშეც, გარწმუნებთ, რომ განმეორდება იგივე, რაც მოხდა მოსკოვში 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიური ასპარეზობის დროს, როცა სსრ კავშირს ბოიკოტი გამოუცხადეს. არა მგონია, რუსეთში ცუდად ახსოვდეთ ეს ისტორია და გაიმეორონ წარსულის შეცდომები.

**— მაგრამ ხომ გაჩნდა ორმხრივი ურთიერთობის დათბობის ნიშნები — რუსეთმა გააფართოვა საქართველოს მოქალაქეთათვის ვიზების გაცემა, ლაპარაკია სატრანსპორტო მიმოსვლის განახლებაზე, უკვე აღარ ისმის წინანდელი აგრესიული რიტორიკა ორივე მხარის პოლიტიკოსთა მიერ გაკეთებულ განცხადებებში...**

— კარგია, რომ დაიწყეს ვიზების გაცემა, რომ შეიცვალა რიტორიკა, მაგრამ ჩვენ გვჭირდება კონკრეტული რეალური ნაბიჯები, რათა სულ სხვა დონეზე დავაყენოთ ორი ქვეყნის ურთიერთობა. ვიზების გაცემა ვერ გადაჭრის იმ მთავარ პრობლემას, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს. დღემდე არ მოქმედებს საჰაერო მიმოსვლა, დღემდე არ არსებობს ნორმალური ეკონომიკური კავშირურთიერთობა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ პრობლემას ქმნის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები. სანამ რუსეთი არ შეასრულებს პოზიტიურ როლს, ან ამ რეგიონებთან ურთიერთობაში არ დაიცავს ერთიან ცივილიზებულ სტანდარტს, ჩვენი ორმხრივი კავშირი მუდამ არასტაბილური იქნება.

**— რუსეთის ელჩმა საქართველოში ვიაჩესლავ კოვალენკომ ერთხელ შენიშნა, რომ საქართველო ნეიტრალიტეტის გზას თუ დაადგებოდა, ეს უფრო გააიოლებდა ორი ქვეყნის ურთიერთობას.**

— როგორ ფიქრობთ, საქართველოსთვის ამის შეთავაზება ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის კარნახი ხომ არ არის? გაიხსენეთ, როგორი იყო ბატონი პუტინის რეაქცია, როცა ერთმა ქვეყანამ გამოთქვა წინადადება მეორის კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. ქართველი ხალხის გადასაწყვეტია ნეიტრალური უნდა იყოს მათი ქვეყანა თუ არა, მოსახლეობის 82 პროცენტი კი მხარს უჭერს საქართველოს შესვლას ნატოს რიგებში.

მოლდაველმა უკვე კარგა ხანია გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, მაგრამ რაღაც არ მსმენია, რომ მას კარგი ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთან. იქაც ისეთივე პრობლემებია, როგორიც ჩვენთან, ზოგჯერ კი უფრო რთულიც. რუსული სამხედრო ბაზები დღესაც იქ არის, მოლდავური ღვინოებისთვის დღესაც ჩაკეტილია რუსეთის ბაზარი, და რაც ყველაზე მთავარია — კვლავ გადაუჭრელი რჩება დნესტრისპირეთის პრობლემა. განა, ნეიტრალიტეტი დაეხმარა მოლდავეთს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში, ან თუნდაც ერთი პრობლემის გადაჭრაში?

**— 2008 წელს პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება რუსეთში, შემდეგ კი საქართველოშიც. ხომ არ შიშობთ, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა შეიძლება გახდეს შიდაპოლიტიკური პროცესების მძევალი?**

— ამ არჩევნების მძევალი ხდება არა მარტო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, არამედ მოსკოვის ურთიერთობა მსოფლიოს ყველა დანარჩენ ქვეყანასთანაც. ჩემი აზრით, ძალზე ბევრი რამ იქედან, რაც ახლა ხდება რუსეთში ან რუსეთის სახელით, რისი ახსნაც, პრინციპში, ძალზე რთულია ხოლმე, არჩევნების მოახლოებასთან არის დაკავშირებული. არ მსურს იმის თქმა, რომ ამის შედეგად შეიძლება მკვეთრად გაუარესდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, მაგრამ ამაში მთლად დარწმუნებული არ ვარ. ჩვენი მხრივ გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ ნორმალური გახდეს ურთიერთობა რუსეთთან, გვქონდეს მასთან კარგი მეზობლობა. მაგრამ ამის მიღწევა არ უნდა მოხდეს ჩვენი ეროვნული ინტერესების ხარჯზე. სხვათა შორის, არაერთგზის შევთავაზეთ ჩვენს კოლეგებს, რუს პარლამენტარებს, ჩამოსულიყვნენ საქართველოში. მათ სიამოვნებით ვუმასპინძლებთ და ჩვენც მზად ვართ ნებისმიერ დროს ჩავიდეთ მოსკოვში. ჩემი აზრით, თუ რუსი დეპუტატები ჩამოვიდოდნენ საქართველოში, ნახავდნენ, როგორი ცვლილებები მოხდა ჩვენს ქვეყანაში, ეს შეუწყობდა ხელს საქართველოს მიმართ მათი დამოკიდებულების შეცვლას.

ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

№ 146. ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2007 წელი.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში" 98-96-32; 899 328576

## ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის რეალიზაციის შესახებ:

1. ქ.თბილისის №183 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული თუნუქის სავარაუდო წონაა 3 ტ. ერთი ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 85 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა თუ, ნუქზე შეადგენს 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 100 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით. (ჯართი განთავსებულია ქ.თბილისში, ღამბაშიძის ქ. №3)

2. ქ.თბილისის №61 საჯარო სკოლის შენობის რემონტის შედეგად მიღებული თუნუქის სავარაუდო წონაა 0,5 ტ. ერთი ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 85 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა თუნუქზე შეა, დგენს 5 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 15 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით. (ჯართი განთავსებულია ქ.თბილისში, დოლიძის ქ. №3)

3. ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შე, დეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 1,2 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 50 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით(ჯართი განთავსებულია ქ.თბილისში, დ.აღმაშენებლის გამზ. №99/1).

4. ქ.თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშ, უალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 1,4 ტონა. ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 50 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით(ჯართი განთავსებულია ქ.თბილისში, რუსთაველის გამზ. №25).

5. ვ.ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართის სავარაუდო წონაა 5 ტონა (მ.შ. 2ტ. თუნუქი, 3 ტ. შავი ლითონი). ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 130 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, ერთი ტონა თუნუქის ღირებულება შეადგენს 85 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში,. „ბიჯი"-ს სიდიდე 15 (მ.შ. ყოველ 1 ტ. შავ ლითონზე 10 აშშ დოლარი, ყოველ 1 ტ. თუნუქზე 5 აშშ დოლარი) აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 200 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით. (ჯართი განთავსებულია ბაკურიანში).

6. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების და საავტომობილო გზებზე ჩატარებული საგზაო სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 169,119 ტონა (მდებარეობს მ.შ. 45056 კგ. - მდებარეობს შპს „ცეკური"-ს ბაზა, მცხეთა, საგურამოს ქ. №4, 350 კგ.- მდებარეობს შპს „ზიმო-7"-ს სამეურნეო ეზო, ქ.ბათუმი, ხახულის ქ. №35, 5580 კგ. - მდებარეობს „ზუგდიდის სს" საქმიანი ეზო, ზუგდიდის რაიონი, სოფ. ინგირი, 30100 კგ. - მდებარეობს შპს „ცეკური"-ს ბაზა, მცხეთა, საგურამოს ქ. №4, 2100 კგ.- შპს „სკკ ხიდი"-ს ბაზა, ქ.თბილისი, ვარკეთილი, მაისურაძის 1, 850 კგ.- მდებარეობს ინდ. საწ. „ვერელი"-ს საქმიანი ეზო, ქ.გორი, შინდისის გზატკეცილი მე-4 კმ, 12500 კგ.- მდებარეობს სს „კავკასავტომაგისტრალი"-ს საქმიანი ეზო, ქ.წნორი, 132 კგ. -მდებარეობს შპს „იბოლია"-ს ბაზა, ქ.გორი, 51550 კგ.- მდებარეობს ქ.თბილისი, ვარკეთილი, მაისურაძის 1, 700 კგ.- მდებარეობს სს „კავკასავტომაგისტრალი"-ს საქმიანი ეზო, ქ.წნორი, 245 კგ. - მდებარეობს შპს „გზამშენი-4"-ის ბაზა, სოფელი აღაიანი, 33000 კგ. -მდებარეობს შპს „ბესკო"-ს ბაზა, ქ.თბილისი, ალექსიძის №1, 5000 კგ. -შპს „სკკ ხიდი"-ს ბაზა, ქ.თბილისი, ვარკეთილი, მაისურაძის 1, 156 კგ. -მდებარეობს საგზაო გზების დებარტამენტი). ერთი ტონა შავი ლითონის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა შავ ლითონზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 4000 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

7. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საავტომობილო გზებზე ჩატარებული საგზაო სარეაბილიტაციო სამუ, შაოების შედეგად მიღებული თუჯის სავარაუდო წონაა 15,558 ტონა (მ.შ. მდებარეობს: 0,608 ტ. -ქ.ბათუმში, 8,3 ტ. მცხეთაში, 6,650 ტ. -თბილისში). ერთი ტონა თუჯის ღირებულება შეადგენს 145 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა თუჯზე შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 500 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

8. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საავტომობილო გზებზე ჩატარებული საგზაო სარეაბილიტაციო სამუ, შაოების შედეგად მიღებული ალუმინის სადენის სავარაუდო წონაა 0,560 ტონა (მდებარეობს ქ.წყალტუბო, ტაბიძის ქუჩა, I შესახვევი, №4, შპს „ჯ და ჯ"-ს ბაზა). ერთი ტონა ალუმინის სადენის ღირებულება შეადგენს 1152 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში. „ბიჯი"-ს სიდიდე 1 ტონა ალუმინზე (ალუმინის სადენზე)) შეადგენს 10 აშშ დოლარს ეროვნული კურსით ლარებში, „ბე" 150 აშშ დოლარის ოდენობით ეროვნული კურსით ლარებში. მონაწილის ბილეთის სიდიდე განისაზღვრება 10 ლარის ოდენობით.

ჯართის საბოლოო დაზუსტებული წონა განისაზღვრება აუქციონში გამარჯვებულის და ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

აუქციონში გამარჯვებულმა უზრუნველყოს თავისი ხარჯებით ჯართის დამუშავება და გატანა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.11.06წ. №16/59/100-6 წერილის თანახმად აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2007 წლის 25 ივლისიდან 24 აგვისტოს ჩათვლით 11 საათიდან 16 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველი სამუშაო დღეს, იმავე საათზე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 24 აგვისტოს 16:30 საათზე.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ.ტაბიძის ქ.№4, მე-4 სართული, ტ.93-37-64.

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 25 ივლისის №27 (526)-ში.

## ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ავტოტრანსპორტის პრივატიზებას:

| № | ბალანსის მფლობელი ორგანიზაცია | ავტომობილის მარკა სახ. № | გამოშვების წელი | საწყისი განაცხადი ფასი აშშ დოლარი | ბიჯი აშშ დოლარი | „ბე" აშშ დოლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1(1) | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | პეჟო-806 სახ.№ADW-974 | 1997 | 1750 | 100 | 530 |
| 2(4) | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | გაზ-2121 სახ.№MMM-317 | 1988 | 500 | 50 | 150 |
| 3(6) | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | [illegible] 2.0 სახ.№EEB-172 | 1994 | 2350 | 100 | 750 |
| 4(8) | საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | BMW-730 I სახ.№NON-129 | 1987 | 1050 | 100 | 320 |
| 5(9) | სტატისტიკის დეპარტამენტი | გაზ-31029 სახ. № SHS-737 | 1996 | 625 | 50 | 200 |

**შენიშვნა:** მოქმედი კანონმდებლობის შე, საბამისად პრივატიზების პროცესი გაგრ, ძელებულია 11.07.07წ.-დან 11.07.08წ.-მდე

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხ, ვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ.ტა, ბიძის ქ.№4, მე-4 სართული, ტ.93-37-64.

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის" 2007 წლის 25 ივლი, სის №27 (526)-ში.

№ 146. ოთხშაბათი. 1 აგვისტო, 2007 წელი.

**დღეს, იმ წუთებში, როცა ქართული სისხლითა და სულით გაჯერებული ლევილის მიწა სამშობლოსათვის სანთელივით ჩამომდნარს მიიბარებს, საქართველოს ყველა სხვა ზარს სწორედ ეს ზარი შეახსენებს ამაგდარ შვილს**



ის იყო კაცი...

# ჩქაროზდა სიკეთის კეთებას

## ნაუცბათევი სიტყვა დოქტორ კარლო ინასარიძეზე

**რომ არა შეშლილთა საუფლოში ვიღაც შეშლილისა თუ თავის მოზგიჟიანებლის მიერ ისე მზაკვრულად ნასროლი ტყვია, როგორც ეს ზუსტად 100 წლის წინათ, წიწამურთან მოხდა, ამ თემას, ალბათ, ვერ შევბედავდი.**

**წიწამური შემთხვევით არ მიხსენებია.**

**რატომ?**

„აკადემიკოსი გურამ შარაძე ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ თვალსაჩინო მემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს. — წერდა კაცი, რომელსაც ამ სტრიქონებს ვუძღვნი. — მისი ორტომეული ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ჰიმნი და დიდებაა. მისი მოქმედების სხვა ფაქტებიც ილიასებურია. როცა ჩვენ, ქართველებმა იარაღიც კი გამოვიყენეთ ერთმანეთის წინააღმდეგ, თბილისი ინგრეოდა და უგუნურებმა ცეცხლი გაუჩინეს კონსტანტინე გამსახურდიას კოლხურ კოშკს, აკადემიკოსი გურამ შარაძე საკუთარ სიცოცხლეს არ დაერიდა, პუტჩისტებთანაც კი გამართა მოლაპარაკება და ისე გადაარჩინა კოლხური კოშკი.

ამითაც არ განისაზღვრება ჩვენი გურამის ილიასებური მოქმედება. მას განსაკუთრებული როლი მიუძღვის ქართული პოლიტიკური ემიგრაციისა და ამით ქართველი ერის წინაშე... მისი კალამი ცენტრში აყენებს ადამიანს — ლტოლვილს, რომელიც იწვის სამშობლოს სიყვარულით“... — ეს სიტყვები ამონარიდია ცნობილი მეცნიერის, პუბლიცისტისა და პოლიტიკოსის, საქართველოს საპატიო მოქალაქის, ბატონ კარლო ინასარიძის წიგნიდან „ისევ სამშობლოში“, რომელიც 1996 წელს გამოსცა ქართული ეროვნული საბჭოს ოფიციალურმა ორგანომ, ჟურნალმა „მებრძოლმა საქართველომ“.

თავად ბატონი კარლოც სულგანათლებულ გურამ შარაძის „აღმოჩენილია“ და, როგორც ყველა სხვა ემიგრანტი, ის და მისი მეუღლე, ქალბატონი თინათინ პატარიძე უმაღლეს სასულიერო და საეროხელისუფალთ, პარლამენტსა და საზოგადოებას მისთვის ჩვეული ობიექტურობითა და მიუდგომლობით მან წარუდგინა.

— 1996 წლის პირველი ოქტომბერია, — წერს ამის თაობაზე ბატონი კარლო. — მე და ჩემი მეუღლე საქართველოს პარლამენტის მარცხენა ლოჟაში ვსხედვართ. სამწუხაროდ, ტრიბუნიდან მომხსენებლის ხმა კარგად არ გვესმის (შეიძლება, არც ეს იყო შემთხვევითი. **ავტ.**ძ.



აკადემიკოს გურამ შარაძის სიტყვის შემდეგ დეპუტატებმა ჩვენსკენ მოიხედეს და ტაში გვიკრავდნენ. ჩვენ ინერციით ავდექით და მადლობის ნიშნად ქედი მოვიხარეთ. ამის შემდეგ გავიგეთ, რომ პარლამენტმა საქართველოს საპატიო მოქალაქის წოდების მისანიჭებლად პრეზიდენტთან წარგვადგინა, რაც, გასაგებია, დიდ პატივად მივიჩნიეთ და გავოგნდით.

ვითომ ვართ ამდენი პატივისცემის ღირსი?“

ბატონი კარლოს მიერ დასმული ამ კითხვის პასუხი მისი ცხოვრების გზა და დიდი, ამასთან მრავალმხრივი მეცნიერული, პუბლიცისტური და პოლიტიკური მოღვაწეობაა.

* * *

*დაიბადა 1919 წლის 15 ნოემბერს ვანის რაიონის მაღალმთიან სოფელ კუშუბოურში. 1937 წელს დაამთავრა ლანჩხუთის საშუალო სკოლა და სწავლა თბილისის კინომსახიობთა სტუდიაში განაგრძო. 1940 წლის 7 მაისს მესამეკურსელი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, საიდანაც მოხვდა ჯერ მეორე მსოფლიო ომში, მერე ტყვეთა ბანაკებში, ბოლოს კი როგორღაც ბედმა გაუღიმა და — ევროპაში. სწავლობდა პარიზსა და მიუნხენში ფილოსოფიას, იურისპრუდენციას, ჟურნალისტიკას, თეატრთმცოდნეობასა და კინომცოდნეობას. 1951 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.*

*განსაკუთრებულია მისი მოღვაწეობა რადიო „თავისუფლებაში“. კარლო თაბორიძის ფსევდონიმით ათეული წლების განმავლობაში ქართულად ესაუბრებოდა მშობელ ხალხსა და ქვეყანას, 1960 — დან 1985 წლამდე კი ქართული რედაქციის დირექტორი იყო.*

*ბატონი კარლოს ეპოქალური ნაშრომები აუდიო, ვიდეო და ბეჭდვური მედიის შესახებ, აგრეთვე კაპიტალური წიგნები გრიგოლ რობაქიძეზე, „ივერიონზე“, ჯვრის მონასტერზე, „ისევ სამშობლოში“, „ასლიდან ალეგორიამდე“, „კრიტიკის აზრი“, „კორიდა“, „აქ იყო კართაგენი“ და მისი უამრავი პუბლიცისტური ნაწარმოები იმ ტკიცეკვარცხლბეკს ჰქმნიან, რომელიც შთამომავლობას ცოცხლად შეუნახავს დიდი პატრიოტის, უაღრესად განათლებული, ნიჭიერი და ფუტკარივით დაუღალავი შემოქმედის ხსოვნას.*

*ჟურნალების „მებრძოლი საქართველოსა“ და „მესამე დასის“ გამომცემელი და მთავარი რედაქტორი, საქართველოს უძველესი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთელი თავკაცი და დიდი ოჯახის მამა ყოველთვის პოულობდა არა მარტო იმის დროს, რომ უკლებლივ მოეწოდებინა თავისი ბეჭდვური პროდუქცია, არამედ იმსაც, რომ სისტემატურად ეთანამშრომლა გაზეთში „სარკმელი საქართველოსი“ და იყო მისი რედაქტორთა საბჭოს ფრიად აქტიური საზღვარგარეთელი წარმომადგენელი, რისთვისაც საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა თავის საპატიო წევრად მიიღო და პრემიით დააჯილდოვა.*

*ჩვენს ამ მჭიდრო ურთიერთობას საძირკველი ლევილში ჩაეყარა 1996 წლის მაისში, როცა, როგორც ჩემმა უფროსმა კოლეგამ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრემიერ-მინისტრის ვაჟთან, ბატონ აკაკი რამიშვილთან წარმადგინა და სთხოვა, ინტერვიუზე დამთანხმებოდა.*

* * *

**4 თვეში,** 1996 წლის 18 სექტემბერს, სამშობლოსთან განშორებიდან ზუსტად 56 წლის, 6 თვისა და 11 დღის შემდეგ, ბატონ კარლოს აუხდა სანუკვარი ოცნება — მეუღლესთან, საფრანგეთში დაბადებულ და აღზრდილ ქალბატონ თინათინ პატარიძესთან ერთად, რომელიც ადრე არასდროს ყოფილა საქართველოში, მშობლიურ მიწას ეამბორა.

მას შემდეგ ბევრი კეთილი კვალი დატოვა ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს საპატრიარქოს რეზიდენციის წინ, სკვერს ამშვენებს „პარიზის შადრევანი“ — ვალასის წყარო, რომელიც მეუღლესთან ერთად თბილისს მიუძღვნა. საგრძნობი წვლილი შეიტანა „სამების“ მშენებლობაში. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დგას ავგუსტ როდენის „მოაზროვნე“, რომელიც გერმანიაში შეიძინა და ამგენიალური ხელოვანის მეორე ქანდაკებასთან — „ვენერას ტუალეტის“ — ბრინჯაოში ჩამოსხმულ და დამონტებულ პირთან ერთად საქართველოში გამოაგზავნა... ყველაფერს ვერ ჩამოთვლი, რამეთუ თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ჩქაროზდა, ძალზე ჩქაროზდა სიკეთის კეთებას.

და მაინც კიდევ ერთზე აუცილებლად გვინდა ხაზის გასმა: მის მშობლიურ კუშუბოურში, ღვთისმშობლის სიონის ეკლესიაში უკვე ათ წელიწადზე მეტია ხმიანობს ზარი, რომელიც გერმანიაში თავისი სოფლისთვის სპეციალური შენადნობით ჩამოასხმევინა.

დღეს, იმ წუთებში, როცა ქართული სისხლითა და სულით გაჯერებული ლევილის მიწა სამშობლოსათვის სანთელივით ჩამომდნარს მიიბარებს, საქართველოს ყველა სხვა ზარს სწორედ ეს ზარი შეახსენებს ამაგდარ შვილს.

საბოლოო და სრულყოფილ შეფასებას კი დოქტორ კარლო ინასარიძეს ხვალინდელი დღე ეტყვის, რამეთუ სრულად და სიღრმისეულად მისი მრავალფეროვანი მოღვაწეობისა და სიკეთის წარმოჩენა მომავლის საქმეა.

**ალექსანდრე შენგელია,**
**გაზეთის „სარკმელი საქართველოსი“ გამომცემელი და რედაქტორთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი.**

**სურათებზე: ბატონ კარლო ინასარიძის საქართველოში განმეორებით ყოფნის ამსახველი ეს კადრები 2002 წლის 26 მაისსაა გადაღებული კუშუბოურში იმ ტრადიციული ზარების ჩამოკვრის შემდეგ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, საათისა და წუთის აღსანიშნავად მისი წინადადებით დააწესა საქართველოს ეკლესიამ. შოთა ხახიაშვილის ფოტო.**

# ინფორმაცია

1) ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 20.07.07წ. №1-3/123 ბრძანების საფუძველზე შეწყდეს პრივატიზების პროცესი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ავტომანქანა კრაისლერ ნიუორკერზე სახ.№ NON,728.

2) გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 4 ივლისის ნომერში ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში გაპარულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შედეგად მიღებული შავი ლითონის სავარაუდო წონაა 22 ტონა, ნაცვლად გამოცხადებული 2,2 ტონისა. დანარჩენი იგივე.

# ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო აცხადებს აუქციონს შემდეგ ობიექტებზე

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | 78,3 | | 65000 | 300 | 1500 | | 50 |

აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიიღება მიმდინარეობს 2007 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით ყოველდღე (შაბათ-კვირის გარ, და) 11 საათიდან 16 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 16 აგვისტოს 16:30 საათზე.

საკუთრების უფლების სანოტარო დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტ, რაციისა და აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

თანხა ჩაირიცხება მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრა, ლური), ანგარიში: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302003000

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ქ.თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს იურიდიულ განყოფილებას, მისამართი გ.ტაბიძის ქ.274, მე-4

**შენიშვნა:** ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრის“ 2007 წლის 25 ივლისის №27 (526)-ში.

№ 146. ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2007 წელი.

# სპორტი

● ჩვენებურმა მოსკოველმა ბრწყინვალედ ჩაატარა ეს ორთაბრძოლა და გაიმარჯვა – 6:3,6:2. ასეც უნდა ყოფილიყო – ტურნირზე ხომ ანა პირველ ნომრად „განთესეს“. ეს მისი ზედიზედ მეორე გამარჯვებაა



**◎ ორბიტაზე**



## ისევ და ისევ ჩაკვეტაძე!

**ბოლო ხანებში მართლაც რომ უჩვეულო ბრძოლები შესთავაზა თავის მეტოქეებს კორტებზე ქართული სისხლის რუსეთელმა ჩოგბურთელმა ანა ჩაკვეტაძემ.** ამერიკის შეერთებულ შტატებში, სტანფორდის ტურნირზე Bank ofwesf classic, რომლის საპრიზო ფონდი 600 000 დოლარი იყო. ანამ ჩინებულად იასპარეზა და ფინალში გავიდა. აქ კი მისი მეტოქე იყო უძლიერესი ინდოელი ჩოგბურთელი მირზა. ანამ სწორი ტაქტიკა აირჩია და კორტზე ბევრი არბენინა მეტოქე, რაც მირზას მაინც და მაინც არ მოსწონს.

ჩვენებურმა მოსკოველმა ბრწყინვალედ ჩაატარა ეს ორთაბრძოლა და გაიმარჯვა – 6:3,6:2. ასეც უნდა ყოფილიყო – ტურნირზე ხომ ანა პირველ ნომრად „განთესეს“. ეს მისი ზედიზედ მეორე გამარჯვებაა.

## ერთი წამით გაუსწრო



**ლონდონში გაიმართა საჰაერო სლალომში მსოფლიო თასის მეექვსე ეტაპი.** ფინალში ამერიკელმა მაიკ მანგოლდმა მხოლოდ ერთი წამით გადაასწრო ბრიტანელ პოლ ბონომს, მესამე კი უნგრელი პეტერ ბეშენი იყო. ფინალისტ რვა კაცში ვერ მოხვდა რუსეთელი სერგეი რახმანინი.

## გამშველებელს მეტი მოხვდაო...

**სწორედ ასე დაემართა კრივში IBF ვერსიით ყოფილ ჩემპიონს საშუალო წონაში ანტვუნე ჰოლსს.**

ქუჩაში მიმავალმა ვიღაც მოჩხუბრების გაშველება მოინდომა, მაგრამ ეს კეთილშობილება ძვირად დაუჯდა. მალაზიასთან ატეხილი ჩხუბის მონაწილენი რომ გააშველა, ერთ-ერთმა უცნობმა მოჩხუბარმა მოკრივეს ფეხში პისტოლეტი დაახალა და მიიმალა. „არამკითხე“ მოკრივე კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. საბედნიეროდ, ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა.



**◎ მოვლენის შემდეგ**

## მედლებისთვის – მადლობა, მაგრამ სამომავლო სტრატეგია გადასახედია

**უკვე გაუწყეთ, რომ სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში დამთავრდა ევროპის ახალგაზრდობის IX ზაფხულის ოლიმპიური ფესტივალი, რომელშიც 49 ქვეყნის 2300 სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის 27 ათლეტი საქართველოს წარმომადგენელი გახლდათ. მათგან ძიუდოისტმა ზებედა რეხვიაშვილმა (66 კგ.), ჩოგბურთელებმა – ეკა გორგოძემ და გიორგი ხმიადაშვილმა შერეულ (წყვილებში) ოქროს მედლები დაიმსახურეს.**

ეკამ ერთეულთა თანრიგშიც იყოჩაღა – მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და მეორე ადგილზე გავიდა. ასევე „ვერცხლი“ ხვდა ძიუდოისტ ზვიად კაპანაძეს (60), ხოლო მისი თანაგუნდელები (მწვრთნელი გურამ მოდებაძე) – ოთარ კაიდარაშვილი (50) და გიორგი მერმანიშვილი (73) მესამე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.



გუშინ სერბელი ბატალიების გამარჯვებულებსა და პრიზიორებს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შეხვედრა მოუწყვეს. მედალოსნებს მიესალმა სეოკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი. ბელგრადში გამართულ ორთაბრძოლებზე გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა ილაპარაკა:

– წარმატებად მიგვაჩნია, რომ 49 ქვეყანას შორის გუნდური მე-16 ადგილი დავიკავეთ და ისეთ ქვეყნებს გავუსწარით, როგორიცაა ესპანეთი, თურქეთი, პორტუგალია, ბულგარეთი, ავსტრია, ბელარუსი, დანია, შვედეთი, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სახელმწიფოებზე. სასიამოვნოა ისიც, რომ, წინა ფესტივალებისგან განსხვავებით, ამ შეჯიბრებაზე ძიუდოისტებს გვერდით ამოუდგნენ ჩოგბურთელები და ორი მედალიც მოიპოვეს. თუმცა, აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი სტრატეგია გადასახედია, თორემ სულ მალე ასეთ შეჯიბრებებზე პოსტსაბჭოური ქვეყნების წარმომადგენლებიც გაგვისწრებენ. მაგალითად აზერბაიჯანიც კმარა, რომელმაც ბელგრადში შვიდი ოქროს მედლით მეექვსე ადგილი დაიკავა.

ერთი სასიამოვნო ფაქტიც მინდა დავძინო: მოგეხსენებათ, ჩვენს გუნდს ახლდა ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. ვერც კი წარმოვიდგენდით, ქალბატონი ნონა ასეთი პოპულარობით თუ სარგებლობდა ბელგრადში. ქუჩაში, ტრანსპორტში, რესტორანშიც კი ავტოგრაფებს ართმევდნენ. სეოკის საპატიო პრეზიდენტისადმი ასეთმა თბილმა დამოკიდებულებამ სპორტსმენებზეც დადებითად იმოქმედა...

შეხვედრის დასასრულს სეოკის გენერალურმა მდივანმა მიღწეული გამარჯვებისთვის მადლობა გადაუხადა როგორც მედალოსან სპორტსმენებს, ასევე ოლიმპიურ სოფელში საქართველოს მისიის თავკაცს გიორგი ესაკიას, გუნდის ექიმს ზურაბ კახაბრიშვილს და პრესცენტრის ხელმძღვანელ კახა ბერიძეს. აღინიშნა ისიც, რომ 2009 წელს ოლიმპიური ფესტივალი ფინეთში გაიმართება.

**გიორგი გაგუა**

**სურათზე: ემზარ ზენაიშვილი სეოკში შეხვედრისას; ოლიმპიური ფესტივალის მედალოსნები მწვრთნელებთან ერთად.**

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

**◎ ჩოგბურთი**

## კონფლიქტი უმტკივნეულოდ მოგვარდა



**გუშინ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა უნდა მოეწვიათ – ოპოზიციურად განწყობილი ფრთა დავით ლანჩავას თავკაცობით ამჟამინდელი პრეზიდენტის, სახელოვანი ჩოგბურთელის ლეილა მესხის თანამდებობიდან გადაყენებას და ახალი ხელმძღვანელობის არჩევას ითხოვდა. მთავარ მიზეზად ქართულ ჩოგბურთში არსებული პრობლემები სახელდებოდა.**

ამას წინათ სპორტის დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ქალბატონმა ლეილა მესხმა დაწვრილებით ილაპარაკა გაწეულ მუშაობაზე. ცხადია, არც ხარვეზების გამოაშკარავება დავიწყნია. თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ პრობლემების მოგვარება მხოლოდ თანადგომითა და ერთიანი ძალით შეიძლება...

დაპირისპირებული მხარეები გუშინწინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა მიიწვია. დიდი ხნის სჯა-ბაასის შემდეგ კონფლიქტი უმტკივნეულოდ მოგვარდა და მხარეები მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. ამგვარ მორიგებაში დიდი წვლილი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს დავით ნამგალაურსაც მიუძღვის.

გადაწყდა, რომ ჩოგბურთის ფედერაციის არჩევნები 2008 წლის ოქტომბერში – წესდებით დადგენილ ვადებში გაიმართება.

**◎ ვითარება**

## ხელბურთელები ახალ თავკაცს ეძებენ



**საქართველოს ხელბურთის ასოციაციის პრეზიდენტი მამუკა სხიერელი თანამდებობიდან გადადგა – ამის შესახებ პრეზიდიუმს მან წერილობით აცნობა. თავკაცის თხოვნა დაკმაყოფილდა და რიგგარეშე ყრილობა წლეულს 12 სექტემბრისთვის დაინიშნა, სადაც ერთწლიანი ვადით ასოციაციის ახალ ხელმძღვანელს აირჩევენ.**

**◎ ასეც ხდება**

## დაისაჯა ჰომოსექსუალთა სიძულვილისთვის

**ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირის (უეფა) სადისციპლინო კომიტეტმა დააჯარიმა ფეხბურთში ალბანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოტო ბარიჩი 3000 შვეიცარიული ფრანკით (1825 დოლარი) ჯერ კიდევ 2004 წელს ხორვატეთის ჟურნალისტებისთვის მიცემული ინტერვიუს გამო.**



იმ ინტერვიუში ბარიჩმა, მაშინ ხორვატეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი რომ იყო, კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვა არატრადიციული სექსუალური მიმართულების პირების, მათ შორის, ჰომოსექსუალისტების, მიმართ.

ბარიჩის წინააღმდეგ უეფაში საჩივარი შეიტანა მოძრაობამ „ფეხბურთი ევროპაში რასიზმის წინააღმდეგ“. უეფას განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება (?!).

**◎ სიახლე**

## ახალი საფეხბურთო ტელეარხი



**ახალი ტელეარხი „ფეხბურთი“, რომელსაც თანამგზავრის საშუალებით ავრცელებს „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია „გაზკომი“, ახალი სატელევიზიო პროექტია, რაც გამიზნულია ფასიანი ტელეხედვის რუსულ ბაზარზე.** ის ჩაფიქრებულია როგორც ქვეყანაში პირველი საკაბელო არხი, მთლიანად რომ მიეძღვნება ფეხბურთს და დააკმაყოფილებს ამ სახალხო თამაშის ურიცხვ მოყვარულთა მზარდ ინტერესს.

ტელეარხის პოლიტიკის საფუძველია ინგლისური პრემიერ-ლიგისა და სხვა ევროპული ჩემპიონატების მატჩები, მათი მიმოხილვები, საუკეთესო გოლები, ცინცხალი ამბები, ფეხბურთის ისტორია და ფილმები ფეხბურთზე.

# ხელოვნება

**● ასეთი კაცები აცოცხლებდნენ საქართველოს, გაუბზარავი, უმწიკვლო კაცები...**



**თენგიზ არჩვაძესთან საუბარიც სასიამოვნოა და ჭიქის აწევაც...**

№ 146. ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2007 წელი.

**◉ ძვირფასი სილუეტები**

# რა უთხრა ერთხელ შვილიშვილმა თენგიზ არჩვაძეს

**რამდენიმე საათი რაინდი კაცისა და ბრწყინვალე მსახიობის გვერდით**

**კეპი სახეს უფარავდა და, ლიფტიდან რომ გადმოვიდა, კინაღამ ვერ ვიცანი...**

— ხომ ხედავ, ზუსტად მოვედი... თორმეტ საათზე... — ხელს მართმევს და თვალებში შუქი უდგება.

— მობრძანდი, ბატონო თენგიზ!.. — რედაქციის დერეფანში აქეთ-იქიდან ესალმებიან, ცნობისმოყვარეობით შესცქერიან თენგიზ არჩვაძეს. შეიძლება ითქვას, რომ „ფორმაშია“, ენერგიული გამომეტყველებით ათვალიერებს ოთახში გამოფენილ სურათებს, ფოტორეპროდუქციებს.

— მაგარი იყო ლადო გრიგოლია, კარგად ვიცნობდი... დიდი მხატვარი იყო... ნახე, „გრიგოლ ორბელიანი“ როგორ არის შესრულებული... „დაემხო ჩემი სამშობლო, საფლავს ჩავდივარ მწუხარი“... მერე ალექსანდრე ჭავჭავაძის ფოტორეპროდუქციაზე აჩერებს მზერას...

— ეკატერინე მეორის ნათლული იყო... წარმოგიდგენია? კახეთში, რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლებისას, ფეხში დაჭრეს კახელებმა...

— რამდენჯერმე დაგირეკე, გასულია ქალაქიდანო...

— ჰო, ძირითადად, ლაშარიჯვარში ვარ, მისაქციელთან ახლოს, მშვენიერი ადგილია, იქა მაქვს, ასე ვთქვთ, აგარაკი... ვარ ჩემთვის, მარტო... რადიოს ვუსმენ და ეგაა. ხანდახან „ბიჭები“ თუ მესტუმრებიან... ღვინო მოვრჩი, როგორც იქნა, ქაფიანიძე აღარ სვამს და მეშველა...

— ტელევიზორი ხომ გაქვს?

— კი, მაგრამ, მარტო ჩოგბურთს ვუყურებ...

— პოლიტიკა!..

— აპაპაპაპა... არ მაინტერესებს!.. მაგათ დალუპეს ჩვენი ქვეყანა!... იმ დღეს ერთი გოდასახადიც კი დაგხვდეს... აი, ამ დღეებს მოვესწარით...

თვალებში სევდა უდგას.

— საერთოდ, როგორ ცხოვრობ, ბატონო თენგიზ?!.

— ღმერთმა დალოცოს ბიძინა ივანიშვილი... ხუთ სულს ვინახავ მისი წყალობით...

— ჰოლივუდში შენი დონის მსახიობს ძეგლს დაუდგამდნენ, უზრუნველი ცხოვრება ექნებოდა...

— ეეეე... კარგი რა... ჩვენ აგერ, გუშინ, ქართველი საბჭოთა მსახიობები ვიყავით, სულ სხვა წესითა და რიგით ვცხოვრობდით... თუმცა, უდიდესი დაფასება ჰქონდა ჩვენს პროფესიას... საკმაო ჰონორარსაც ვიღებდი... ვიღებდი, ვხარჯავდი, მეტი რა შემრჩა... ახლა, კიდევ გიმეორებ, ბიძინა ივანიშვილის წყალობით ვარსებობ... ეეეე... ეგ არი, რომ ჩემი ხალხის უდიდეს სიყვარულს ვგრძნობ...

— ახლა, თენგიზ არჩვაძე მესტუმრა და თითო ჭიქით არ ალვნიშნოთ? შევიდეთ ჩვენს სასადილოში, ბატონო თენგიზ, ზოგიც იქ ვისაუბროთ.

ცოტა ხანს ყოყმანობს.

— შევიდეთ, რაც არის არის!.. მე გპატიჟებ!..

— არა, ეგრე არ გამოვა, დღეს სტუმარი ხარ შენ ჩემი!..

ჩვენთვის ვსხდებით კუთხეში. პირველ ჭიქას ილებს:



40 წლის წინათ...



40 წლის შემდეგ...

გონა მირეკავს, რომელიღაც გაზეთიდან: „ბატონო თენგიზ, ვერ მეტყვით, ვინ არის ქართველი მიუნჰაუზენიო?..“ მივხვდი, საითაც ურაკუნებდა და გავბრაზდი, რა ჩემი საქმეა, ვინ არის ქართველი მიუნჰაუზენი?!. თანაც, რას ერჩი — მიუნჰაუზენი სიმპათიური ტიპია, ქართველ კაცს ენათესავება შინაგანი ბუნებით...

— სერგო კლდიაშვილის ლახუნდარელი, რეზო ჭეიშვილის შალიკო ხვინგიაძე, ქართველი მიუნჰაუზენები არ არიან?!.

— აგაშენა ღმერთმა!.. ჰოდა, გავაწბილე შენი ახალგაზრდა კოლეგა... ხელისუფლება რომ ხალხს ჭაზე მრიცხველს დაუყენებს წყლით უმდიდრეს ქვეყანაში, იქ, აბა, რაზე უნდა ილაპარაკო?!.

— ვითომ, მართლა ეგრეა?!.

— უნდა გავიქცე ერთი მაღლაკში, ვნახო, ჩემ ეზოში, ჭაზე დააყენეს თუ არა მრიცხველი...

— იცინი, შენ! შეიძლება გა-

— აბა, ჩვენს შეხვედრას, ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს, რომელსაც ვერც ჟურნალისტობა გადასწონის და ვერც მსახიობობა!.. ხომ ასეა?! — გამომცდელად მიყურებს, ოდნავ მოწკურული თვალებით მზურღავს.

— რა თქმა უნდა!..

— ჰოდა, ძალიან კარგი!..

მერე ახლობლებს იხსენებს:

— ჩვენ რაჭველები ვართ. ისე „ვორონცოვზე“ დავიბადე და გავიზარდე... მამაჩემი ჭიათურაში გაზეთის რედაქტორი იყო, ესე იგი, შენი კოლეგა... ორჯონიკიძე დასდევდა დასაჭერად... მეპურეებში ჩაჯდა და გადარჩა... რომ ვუთხარი, რატომ ჩაჯექი მეპურეებში-მეთქი, მაშინ შენ არ მეყოლებოდიო... გესმის, ვილეებ? თუ არ მეყოლებოდიო!.. ჰოდა, მე რომ არ ვყოფილიყავი, ხომ არ მეყოლებოდნენ ჩემი შვილიშვილები, ჩემი სიცოცხლეები!..

— რამდენი გყავს?

— სამი — ანუკა, მარიამი და ირინე... ამაზე მერე ვიტყვი, ჯერ მეგობრებისა დავლიოთ!..

— განათლოთ ღმერთმა!..

— ჰო... 24-ში მამაჩემის 14 დედმამიშვილი შორაპანში დახვრიტეს, სისხლიასხამდა თურმე ხის ვაგონებიდან... ამ რამდენიმე წლის წინათ მარნეულში „სამშობლო“ დავდგით... ნანა კვასხვაძემ დადგა, ნანა ბოკუჩავამ, განსაკუთრებით — ნათელა არველაძემ — ძალიან მოინდომეს... ნათელა მაგარი ქალია... ხმალი მაჩუქეს... სახლში ივანე ჯავახიშვილის 1923 წელს გამოცემული დიდი საქართველოს რუკა მაქვს კედელზე გაკრული... ერთხელ კინაღამ დამიჭირა კგბ-მ ამ რუკისთვის, მაგრამ არ ჩამოურთმევიათ... მივაკიდე ხმალი ამ რუკაზე და, ღმერთო დიდებულო, აღარ დაეტია იგი საქართველოს ახლანდელ საზღვრებში... აბა... „სამშობლო“ დავდგით ჩემს საორბელიანოში, ჩემს სამშვილდეში... დიდი საქმე გაკეთდა... მოდი, ჩვენს ბედუკულმართ სამშობლოს გაუმარჯოს!.. ღმერთო, რა დავაშავეთ!.. შაჰ-აბასმა ასი ათასი კაცი გარეკა საქართველოდან, ახლა, მილიონზე მეტი, თავისითაა გაქცეული... გაუსაძლისი მდგომარეობაა. ერთი მეგობარი მყავს, შენც იცნობ, ნიჭიერი კაცია — მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი... გერმანიაში თუ ბელგიაში მიდის, სამუშაოდ მიდის... აღარ შემიძლია აქ გაჩერებაო... ხუთი შვილი ჰყავს, მიჰყავს და მიდის!.. ახლა, ის ბავშვები საქართველოს გამოადგებიან როდესმე?! ღმერთმა ქნას!.. მეც მიმიწვიეს გერმანიაში გადაღებაზე რამდენიმე თვით... არ წავედი!.. სამჯერ დაწერე, ვილენ: **არ წავედი! არ წავედი! არ წავედი!..** მე დრეზდენი რად მინდა, თუ ზედაზენი არ ვნახე, ორ კვირაში ერთხელ მაინც! დავით გარეჯში ვიყავით შარშან შემოდგომაზე, დოკუმენტურ ფილმს იღებდა ერთი ჩვენი ძმაკაცი. კარტოფილი გვქონდა მარტო... კიდევ გველები დასრიალებდნენ ირგვლივ... მაინც ბედნიერები ვიყავით!.. ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს!.. ჩვენ ყოველთვის ტერიტორიულად ვიყავით დაპყრობილი... აბა, როგორ შეიძლება მონამ ასეთი რამ თქვას: „შემოდგომის ყვავილებს დიდებასთან



კადრი ფილმიდან „ვედრება“

მივიტან“, ანდა: „ქაანზე, არაგვის ისევ ჰყვავიან ხოდაბუნები თავთუხებისა“...

— თეატრში თუ დადიხარ?

— არა... 1954 წელს მიმიყვანა მარჯანიშვილის თეატრში ვასო ყუშიტაშვილმა... მე ბედნიერი კაცი ვარ, რომ ვასო გოძიაშვილთან, აკაკი კვანტალიანთან, შაშო გომელაურთან... ჭიქა ამიწევია...

— გიორგი შავგულიძესთან...

— მაშ, გიორგი შავგულიძეს მე დავუხუჭე თვალები... რეზო ხობუას დაბადების დღეს ვთქვი თეატრში — ერთი ოცდაათი კაცის პურმარილს მე ვკისრულობ რეზოს სახელზე რესტორან „საქართველოში“-მეთქი. მივდექ-მოვდექი, იქვე ნაცნობები მყავს... გააწყვეს სუფრა... ველოდები, ველოდები... კაცი არ მოვიდა...რა ჰქვია ამას!.. რატომ შეიცვალა ხალხი!.. მოდი, ჩვენი წასული მეგობრების ხსოვნისა ვთქვათ!..

იცი, რა შვილიშვილები მყავს? ანუკამ საოცარი რამ მითხრა ერთხელ: **ბაბუ, ისე მიყვარხარ, როგორც წვეთი წყალი და ლუკმა პურიო...** გესმის?! ამის თქმა არ გინდა?! როგორც წვეთი წყალი და ლუკმა პურიო!.. მოდი, შვილიშვილებს გაუმარჯოს!.. იქნებ მაგათ მაინც არ იცხოვრონ სიცრუეში, თვალთმაქცობაში, ორპირობაში!.. შვილიშვილები ხომ გყავს?!

— მყავს, ჩემი ანანიკო!

— გაგიზარდოს!... „დამისხი, დამალევინე, ჭაბუკობაში ვყვიროდი, როცა მოვცადე სოფელი, ჩემს უსირცხვობას ვკვიროდი. ნუ მისხამ, აღარ მესმევა კახური ვაზის ნაჟური! გულს მიკლავს, გონებას მირევს განაგონარი, ნახული... პურიც წაიღეთ, არ მინდა, არამი არი ჩემზედა: ვერა ვუშველე მიწასა, ანეულს, მოსულს ქერზედა, ჯეილმა. ახლა რას ვუშველ? თმა გამითეთრდა ყბებზედა“... ა, ვაჟა-ფშაველა, როგორია!.

— მე იმედიანი ლექსები უფრო მომწონს ვაჟასი: „გულო, არ გასტყდე, გამაგრდი, კლდეო, კლდედ იდექ სალადა!“

— გაუმარჯოს, მაშინ იმედს!..

იცი, როგორ მიყვარხარ, ჩემო სამშობლოვ?! როგორც წვეთი წყალი და ლუკმა პური!..

რედაქციის ორი-სამი თანამშრომელი გვიერთდება. ჩანს, როგორ უყვართ, როგორ პატივს სცემენ თენგიზ არჩვაძეს ბიჭები. მოგვიანებით ჯანსულ ჩარკვიანიც შემოხმაურდა — გაუგია ჩვენი აქ ყოფნა. გადაკოცნა ძველი ძმაკაცი. მერე, არ მესმევა, თანაც, ძალიან მეჩქარება, მაგრამ თენგიზის სადღეგრძელოს მაინც დავლევო, თქვა და ჭიქა ასწია: „თენგიზ არჩვაძე რაინდი კაცია, ძმებო, ნაღდი კაცი, ნაღდი მამულიშვილი და მსახიობი... ეს დაამტკიცა მისმა არსებობამ, მისმა შემოქმედებამ... ასეთი კაცები აცოცხლებდნენ საქართველოს, გაუბზარავი, უმწიკვლო კაცები... სამწუხაროდ, რაინდები მიდიან და ვის რჩება საქართველო, ყველა კარგად ვხედავთ!.. გაგიმარჯოს, თენგიზ!..“

დაგვემშვიდობა ბატონი ჯანსული, მეზუფეტესთან მივიდა, როგორც მოგვიანებით გამოირკვა, მთელი ჩვენი სუფრა გადაუხდია.

რა დასამალია და ცოტა წავუღიღინეთ კიდეც (ჰო, ომარ ჩიტაია გვყავდა გვერდით — „აკაკის აკვანში“ პატარა აკაკის როლის შემსრულებელი და შესანიშნავი მომღერალი, „გოდრით“. ამოუშვა ბანი ომარმაძ.

ვდგებით, გამოვდივართ სასადილოდან. ერთი წუთით შევიაროთ ჩემთან, რაღაც უნდა გადმოგცე-მეთქი, ვეუბნები თენგიზს. შემომყვა. მაგიდის უჯრას ვაღებ და თაბახის ფურცელზე ნაწერს ვუჩვენებ — 75 წლის გამო ლექსპრომტი გიძღვენი, აი, ნახე, თუ მოგეწონება... ვკითხულობ:

**შენი არსებობა, ძმაო,**
**ქართულია,**
**შენი სახეები, ძმაო, მარადია,**
**კვლავაც მოგვგვრის ყველას,**
**სიხარულს და სევდას,**
**შენი არსაკიძე,**
**შენი ზარანდია.**
**ჩემი იდეალი ქეთელაურია,**
**შენ რომ გაგვიცოცხლე,**
**ასე შთაგონებით,**
**ღმერთმა დაგილოცოს**
**დედა-საქართველო,**
**თანაც, რა თქმა უნდა, რაჭის**
**მთა-გორები!**

— აგაშენა, ღმერთმა!.. შენ პოეტიც ყოფილხარ, ძმაო!..

— ყველა ქართველი პოეტია, აბა რა!.. ეს ორიგინალი შენი იყოს!..

— იცოცხლე!..

....გარეთ კვირიკობის თვის ბული დგას, ქუჩა თითქმის ცარიელია.

— კარგია ახლა ჩემთან, არაგვის პირზე!.. თუ რაღაც მოვახლაფორთე 3 აგვისტოსთვის, დაგირეკავ და ჩამოდი, ბულაჩაურამდე ლარნახევარი უნდა მიკროავტობუსით მგზავრობას...

—ოოოო... 75 წელი არაა სახუმარო ასაკი...

— აბა!.. მეტი კი არ უცოცხლია აკაკის... ქუთუთოების დამბლა ჰქონდა (კიდევ ერთხელ ავლენს განსწავლულობას).

— კარგი რა! ღმერთმა დიდხანს გამყოფოს!..

— ვნახოთ!

ხელის აწევით მემშვიდობება და კოსტავას ქუჩას მიუყვება თენგიზ არჩვაძე.

**ვილენ მარდალეიშვილი**

● *ჩვენთვის თქვენ როგორ არა ხართ,
ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!*



## ხსოვნა

# რეზო ჭიჭინაძე



გარდაიცვალა რეზო ჭიჭინაძე – ქართველთა ჯიშისა და მოდგმის ერთგვარი ემბლემა: ღვთისგან ჩაფიქრებული ქართველი, ალბათ, მისნაირი უნდა ყოფილიყო კაცობით, სიქველით, გარეგნობით.

რუსთაველმა არ დააბერა თავისი გმირები... არადა, ჯერ კიდევ გუშინ დადიოდა ჩვენს შორის ოთხმოცს მიტანებული ცოცხალი ავთანდილი – რეზო ჭიჭინაძე.

ავთანდილივით გადაეგებოდა ხოლმე მეგობარს; მასაც შეეძლო ავთანდილივით ეთქვა: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“.

ავთანდილივით დიდებული მონადირე იყო, იცოდა ცხოველთა ენა და მათაც ესმოდათ მისი; მხოლოდ უბირ ხალხს ჰგონია მონადირე ნადირთმჟლეტი – ჭეშმარიტი მონადირე, რეზოსნაირი, პირველ ყოვლისა, ნადირთმფარველია... უხდებოდა რეზო ჭიჭინაძეს საქართველოს მონადირეთუხუცესობა და თავისი წასვლით მარტო ჩვენ, კაცნი კი არა, მან ცხოველებიც დააობლა.

ავთანდილივით სიბრძნის სალარო გახლდათ – მასავით წიგნის კაცი... და ავთანდილივით ისიც უწყოდა, რომ – „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა“... იშვიათი მწერალი იყო და კიდევ უფრო იშვიათი მკითხველი. და დაიმშვენა საქართველოს მწიგნობართუხუცესობაც რეზო ჭიჭინაძემ, ვინც სიტყვას სიტყვაში ისევე აჯენდა, როგორც ტყვიას ტყვიაში.

ავთანდილივით მოუგერიებელი მამაკაცური ხიბლი ჰქონდა. ოცდაათ წელს იცხოვრა მოსკოვში და ისევე აოგნებდა იქაურ ქალბატონებს, როგორც ავთანდილმა გადარია გულანშაროელი ლამაზმანები: „მათთა ცოლთა მოიძულნეს ქმარნი, დარჩეს გაბასრულად“... იგი იყო მოსკოვში ჩასულ ქართველთა მასპინძელი, მფარველი და კეთილი ანგელოზი.

რეზო ჭიჭინაძე – დიდი მონადირე – კიდევ უკეთესი მომნადირებელი გახლდათ; მომნადირებლად კი იგი ითქმის, ვინც გულებზე მონადირეა ანუ – გულთამპყრობელი... და მოინადირა რეზომ ათასთა გულები, რადგან საკუთარი გულის მიცემა შეეძლო უშურველად მოყვასისათვის.

ერთადერთი, ვინც რეზოს წასვლით გაბედნიერდა, ეს რეზოსავე სულია, რომელიც თავის მარადიულად 15 წლის ირაკლის და მარადიულად 28 წლის ელიზბარს მოუვიდა.

და ჩვენც, შენს მეგობრებს, ბევრად უფრო გაგვიჭირდებოდა ამა სოფლის დატოვება, რეზო ჭიჭინაძევ, რომ მანდ შენთან შეყრისა და ძმობის გაგრძელების იმედი არა გვქონდეს.

მეგობრები

## ხსოვნა

# ამირან ჭიჭინაძე



„კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე, ყოველ დღესა შენ თავს ჰკითხე, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“. დიახ, ასეთი პიროვნება გახლდათ ჩვენი მეგობარი. მწუხარების, ცრემლშეუშრობელი ორმოცი დღე გავიდა, რაც გარდაიცვალა, ჩვენი ბავშვობის, სიყრმის და ხანდაზმულობის,მართალი სიტყვის მთქმელი და უღალატო მეგობარი, შესანიშნავი კინოსცენარისტი და მწერალი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ამირან ჭიჭინაძე. მისთვის ყველა ხარისხზე ძვირფასი იყო ხალხის, მისი მეგობრების და ახლობლების სიყვარული და თვითონაც ეს გრძნობა ბუნებით ჰქონდა მომადლებული. ის იყო სამართლიანი, ჰუმანური, ზრდილობიანი და მეგობრების ჭირის და ლხინის გამზიარებელი. თავმდაბალსა და ზნეობრივს არ აკლდა კეთილი იუმორი. უყვარდა ქართული სუფრა, განსაკუთრებით, როცა მეგობრები შევიკრიბებოდით, მისი გული ხარობდა და ჩვენდამი სიყვარული ცისარტყელასავით გადაირკალებოდა მეგობართა გულებში. ძნელია დაიჯერო, რომ ჩვენი ცხოვრებიდან წასულთა სიას მისი სახელიც შეემატა, მაგრამ სანამ მისი სამეგობრო, მოსიყვარულე ხალხი არსებობს და ჭიქის აწევის ძალა შეგვწევს, ჩვენთან იქნება. შენ ისე იცხოვრე, რომ სირცხვილისაგან თავდაუხრელი წახველი. ის „სიკეთისათვის სიკეთეს არვის დაუგვიანებდა“. ჩვენს გულებში აგებული მისი ძეგლი მარადიულია და დავიწყება არ უწერია. ის იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც გაილაშქრა იმ უმსგავსოების წინააღმდეგ, რომელიც გაბატონებული იყო ჩვენ ქვეყანაში („გიორგობისთვე“). მის გარდაცვალებას მარტო მისი ჭირისუფალი არ დასტიროდა, ის ყველას გვეკუთვნოდა და ყველა მისი ჭირისუფალი ვიყავით. წავიდა და დაგვიტოვა გულისტკივილი, წაიღო ჩვენი სიყვარულის ნაწილი და სანაცვლოდ მისგან მიღებული სიყვარული დაგვიტოვა. მიიღე ჩემი ეს პატარა, მაგრამ გულთ ნათქვამი, როგორც ნიშანი დიდი სიყვარულისა, არა როგორც დასასრული, არამედ როგორც გაგრძელება თითოეული ჩვენგანის გულში სიცოცხლის ბოლომდე. კაცი იყავ საქებარი, კაცის გერქვა სახელიო, აღარა ხარ, კაცად დარჩი, ყველასათვის საქებიო. ზარი რეკავს სვეტიცხოვლის, მწუხარების ზარი. ღმერთმა ამრავლოს შენისთანა მეგობარი, მეოჯახე და ღირსეული მამულიშვილი! ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული. არ გემშვიდობები, ნახვამდის! ცხოვრება გრძელდება, – უკვე იმ ქვეყნად.

*პატივისცემით და სიყვარულით*
**კუსა სიამაშვილი**

## ინფორმაცია

# „ჩარდახი“ – „ტურისტებს“

**ქუთაისის საკრებულოს ლეიბორისტი დეპუტატი სამსონ გუგავა ქალაქის თვითმმართველობასა და ეკონომიკის განვითარების სამინისტროს იმერეთის მეფეთა სასახლის – „ოქროს ჩარდახის“ ფარულად გასხვისების მცდელობაში ადანაშაულებს.**

როგორც გუგავამ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ოქროს ჩარდახის“ ლიკვიდაციის შესახებ განკარგულება ქუთაისის საკრებულომ გუშინ მიიღო.

სამსონ გუგავამ ეკონომიკის მინისტრის წერილიც გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც “ოქროს ჩარდახი“ სამინისტროს ბალანსზე უნდა გადავიდეს.

ქუთაისის მერიაში ლეიბორისტების ბრალდებებს უარყოფენ და აცხადებენ, რომ „ოქროს ჩარდახი“ ქუთაისის თვითმმართველობის ბალანსზე დარჩება.

ინტერპრესნიუსი

გივი, სანდრო ჯაფარიძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ბატონ ოთარ ქიშმარეიშვილს მეუღლის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ცისო კვერნაძის
გარდაცვალების გამო.

---

ავთანდილ, ვახტანგ წერეთლები თანაუგრძნობენ ბატონ ოთარ ქიშმარეიშვილს მეუღლის

ცისო კვერნაძის
გარდაცვალების გამო.

---

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ აცხადებს აუქციონს

**სამხედრო საჰაერო ძალებისთვის გამოუსადეგარი, ზენორმატიული Л-29 ტიპის თვითმფრინავებზე.**

**ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად.**

| ლოტის # | საქონლის დასახელება | რაოდენობა | საწყისი ღირებულება ლარი. | ბიჯი |
|---|---|---|---|---|
| 1 | Л-29 ტიპის თვითმფრინავი. | 9 ც. | 90000 | 300 |

**გამყიდველი სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“**
**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია: საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.**
**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 10 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისათვის 20 ლარი გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი „220101502“, ანგარიშის № 120236700.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტას“ მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 20 დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება ბეს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2007 წლსი 01 აგვისტოდან 2007 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით, 12 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სსიპ სსსტც „დელტა“, ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2007 წლის 3 სექტემბერს 14 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული, ოთახი №1.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:
– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.
– ბეს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები.
– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.
– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
– იურიდიული პირი წარადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**
აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.
**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**
**ტელ: 95-28-28**
**მის: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.**

---

რეზო, ზურაბ ამაშუკელები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩინებული ქართველი

რევაზ ჭიჭინაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჩვენო ძვირფასებო, ჩვენი რეზოს ოჯახო და ჭირისუფალნო, თქვენთან ერთად დავტირით საყვარელი

რეზო ჭიჭინაძის

ცხედარს.

ბუჩუტა მღივნის ოჯახი.

---

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი თანაუგრძნობს ქალბატონ დოდო ჭიჭინაძეს ძმის

რეზო ჭიჭინაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

მერაბ ბერძენიშვილი

---

სს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომელს ლელა ოკუჯავას გარდაეცვალა მეუღლე

ქართლოს ჩიქვანაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 2 VIII, 4 სთ. მარტვილის რაიონის სოფ. დიდიჭყონი.

---

მეუღლე თამარ ქურდოვანიძე, შვილები გია, დათო, რძლები ნინო გალეგაშვილი, ია გრატიაშვილი, და მედიკო, დისწულები ვასიკო, თამრიკო ქაიხოსროშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მილვერდ ნაცვლიშვილი

პანაშვიდი 31 VII, 1 VIII, 17 სთ. დაკრძალვა 2 VIII, 15 სთ. ქ. საგარეჯო, მამისაშვილის №9.

---

ი. ფალავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, ექიმი ალერგოლოგი

მზია ლეჟავა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

№ 146. ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2007 წელი.

# ბოლო გვერდი

**42 წლის მანუელმა მსოფლიო მაშინ აალაპარაკა, როცა ტელევიზიის საშუალებით დახმარება ითხოვა – 20 წელია, სიმსუქნით იტანჯება და გადაადგილება არ შეუძლია. მაშინ 560 წილოგრამს იწონიდა**



## სულიერება

# წმიდა სალომე ქართველი



**1 აგვისტოს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს წმიდა სალომე ქართველს, რომლის შესახებ ცნობას გვაწვდის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარი. ის იყო იერუსალიმის დედათა სავანეში მოღვაწე ქალი.**

...ტიმოთე გაბაშვილი თავის „მიმოსვლაში“ აღნიშნავს, რომ „იერუსალიმის ჯვრის მონასტერში წამებულა წმიდა მოწამე სალომე, რამეთუ შეუპყრიათ უსჯულოთა და დატევებისათვის სჯულისა აიძულებდნენ რა, განზასრა სარწმუნოება მათი მხნემან მან. ამის შემდგომად ცეცხლითა და მახვილითა უწამებიათ სანატრელი იგი“.

როგორც ჩანს, სალომე ქართველი ეწამა წმიდა ლუკა იერუსალიმელის მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარი სალომეს შესახებ ასეთ ცნობას გვაწვდის: „ამასვე დღესა წამებაი სალომე ქართველისაი, რომელი პირველ შესცთა სპარსთა მიერ და ქრისტე უარყო. ამისა შემდგომად კუალად აღიარა სარწმუნოებაი ქრისტესი და თავი წარუკუეთა და ცეცხლისა მიერ სრულ იქმნა წამებაი მისი“.

წმიდა სალომეს ცხოვრება კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ღმერთს არავის დაღუპვა არ სურს. არ არსებობს დაცემის სიღრმე, საიდანაც ღვთის შეწევნით ადამიანს ამოსვლა არ შეეძლოს. ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სალომეს სულიერი განცდები ქრისტეს უარყოფის შემდეგ.

გულთმეცნიერმა და კაცთმოყვარე ღმერთმა, რომელმაც ყველაზე უკეთ იცოდა სალომეს გულისზრახვანი, ჯოჯოხეთის უფსკრულიდან ზეციურ სასუფევლის კურთხეველთან დააყენა მონანული სული...

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## რა არ ხდება

# პიგმეები — ზოოპარკში

**სწორედ ასე მოხდა კონგოს რესპუბლიკის დედაქალაქ ბრაზავილში. მუსიკალურ ფესტივალზე ქვეყნის ჩრდილოეთიდან ჩასული ერთ-ერთი ტომის მუსიკოსი-პიგმეები ჩაასახლეს... ზოოპარკში!**

პანაფრიკული მუსიკის ყოველწლიური ფესტივალის დანარჩენი მონაწილეები ცივილიზებულ სასტუმროებში გაანაწილეს.

ფესტივალის ორგანიზატორებმა ასეთი ნაბიჯი იმით ახსნეს, რომ ტანდაბალი პიგმეებისთვის სამხეცე მიჩვეული საცხოვრებელი იქნებაო. ასეთი „ზრუნვით“ კი მუსიკოსები გაანაწყენეს.

– ჩვენც გვინდა სასტუმროებში ცხოვრება, როგორც ნამდვილ ადამიანებს, – თქვა პიგმეი მოცეკვავე და მუსიკოსმა დავიდ მოტამბომ, – ცუდია, როცა მამაკაცები, ბავშვები და ქალები ჭია-ღუით სავსე ვოლიერებში ცხოვრობენ. ვფიქრობ, ბრიტნი სპირსი ასეთ რამეზე არ დათანხმდებოდა.

# უმძიმესი და უსქელესი!

**თუმცა ბოლო ხანებში მექსიკელმა მანუელ ურიბემ 200 კილოგრამი დაიკლო, ის მაინც რჩება მსოფლიოში უმძიმეს და უსქელეს ადამიანად – ახლა „მხოლოდ“ 360 კილოგრამს იწონის.**

42 წლის მანუელმა მსოფლიო მაშინ აალაპარაკა, როცა ტელევიზიის საშუალებით დახმარება ითხოვა – 20 წელია, სიმსუქნით იტანჯება და გადაადგილება არ შეუძლია. მაშინ 560 წილოგრამს იწონიდა.

– ტექნიკოსად ვმუშაობდი, კომპიუტერებს, კალკულიატორებს ვარემონტებდი, ერთი სიტყვით, მჯდომარე სამუშაო მქონდა. ნორმალურადაც ვიკვებებოდი – ბრინჯი, ჰამბურგერები, პიცა, ლობიო, მჭადი– ასე „იმართლა“ თავი ამერიკული ტელეარხით ABC გამოსვლისას.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ პათოლოგიური სიმსუქნის მიზეზი შეიძლება იყოს გენეტიკური მუტაცია და ფსიქოლოგიური ტრავმა. ან ორივე ერთად.

ექიმებმა სხვადასხვა ოპერაციები და პროცედურები დაუნიშნეს. ყოველდღე უზელენ ფეხებსა და სხეულის ქვედა ნაწილს, რათა გაუუმჯობესონ სისხლის მიმოქცევა.

მექსიკელი „გოლიათის“ ფოტო 2008 წელს გინესის რეკორდების წიგნში მოხვდება, იქვე მოათავსებენ მისი მკურნალობის კურსისა და დიეტის აღწერას, აგრეთვე იმასაც, თუ როგორ დაიკლო წონაში ნამდვილად სარეკორდო კილოგრამების რაოდენობამ.

## ლარის კურსი

**1 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3850 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,6680 | ლარი |
| ევრო | 1 | 2,2867 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0653 | ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9532 | ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4944 | ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3357 | ლარი. |

## ინფორმაცია

# „ხვანჭკარა“ მოენატრათ?

რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტარიული ექიმი სამსახურის ხელმძღვანელი გენადი ონიშჩენკო ქართველ მეღვინეებთან შეხვედრის პერსპექტივით დაინტერესდა.

ონიშჩენკოს თქმით, ქართველმა მეღვინეებმა მასთან შეხვედრის სურვილი გამოთქვეს, თუმცა ამის შესახებ ოფიციალური შეტყობინება არ მიუღია.

ინტერპრესნიუსი

## კადრი



## ანეკდოტები

– მთელი გულით გიყვარვარ? – ეკითხება გოგო ბიჭს.

– კი ...

– ფიქრობ, რომ ქვეყნად ყველაზე ლამაზი გოგო ვარ?

– ჰო...

– გეჩვენება, რომ ჩემი ტუჩები ვარდის ფურცლებია, ჩემი თვალები – გამჭვირვალე და უძირო ტბა, თმები კი – აბრეშუმი?

– აჰა...

– ოი, როგორ ლამაზ სიტყვებს მეუბნები!

* * *

ორი ავტოინსპექტორი რადარით ბუჩქებში ჩაცუცქულა.

– ო! გადააჭარბა სიჩქარეს!

– რამდენით?

– მინიმუმ ოცდაათი მანეთით მაინც!

* * *

მიზანცალებს ივან ივანიჩი. ხედავს, ვიღაც ტიპი გუბეში ჭყუმპალაობს.

– რას აკეთებ აქ?

– ვეძებ!

– მოდი, ერთად მოვძებნოთ!



ათი წუთი წუწაობენ. უცებ ერთი ყვირის:

– ვიპოვე!

– რა იპოვე?

– ნაპირი!

* * *

თუ შეფი ერთი ერთზე გაქებს, ესე იგი, სურს, რომ მუშაობა გაიძულოს. ხოლო თუ შეფი ყველას თანდასწრებით გაქებს, ესე იგი, სურს, რომ სხვებმა გაიძულონ წასვლა.

* * *

– მიხო ასე რამ გაგახარა?

– ერთბაშად სამი შვილი შემეძინა!

– მომილოცავს! ცოლი როგორ გრძნობს თავს?

– ცოლი კი არა, ცოლები. სამივე კარგადაა.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14.
ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12.
ტ: 899 797679; 98-96-32.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ხიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ვილენ მარდალეიშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.